

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

(სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამის საჯარო სკოლა - გეგმიური მონიტორინგი)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ნატო ოგანეზოვი
წევრ(ებ)ი:
ლელა ეუაშვილი

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐**არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	232550851

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	კასპი
ფაქტობრივი მისამართი	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოკამი, მშვიდობის ქ. N4
საფოსტო ინდექსი	2612
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/2411?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	okami@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	577 67 95 47

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	2025 წლის 12 დეკემბრის N MES 7 25 0001777382 ბრძანება
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2026 წლის 15-16 იანვარი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 12 დეკემბრის MES 7 25 0001777382 ბრძანების საფუძველზე, 2026 წლის 15-16 იანვარს ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაეცნენ დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის I,III და IV სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით. მათ შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსი და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. სკოლაში ვიზიტისას ჩატარდა გასაუბრება სასკოლო საზოგადოებასთან. ვიზიტმა ჩაიარა საქმიან და მშვიდ ვითარებაში.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს მიაწოდეს ინფორმაცია იმ მიგნებების შესახებ, რომელიც მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა. ექსპერტებთა მიგნებები ეფუძნებოდა მოქმედ კანონმდებლობას და/ან სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტების უკუკავშირი სკოლის დირექციის მიერ გაზიარებულ იქნა, ვინაიდან მხარეთა არგუმენტირებული პოზიციები სკოლის მხარდაჭერისა და განვითარებისკენ იყო მიმართული.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოავლინა სრული მზაობა მონიტორინგის პროცესთან დაკავშირებით. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს სკოლის მხრიდან ჰქონდა მაქსიმალური მხარდაჭერა, რომ სამუშაო პროცესი წარმართულიყო საქმეზე ორიენტირებულ გარემოში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
500	311

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილი დასკვნის პროექტზე სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის გეგმა და ზოგიერთი ხარვეზის გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტები. ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია ზოგიერთ ინდიკატორთან დაკავშირებით, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობებთან მიმართებაში. კერძოდ, სკოლას 1.2.1.1 ინდიკატორთან მიმართებით დაუდგინდა ხარვეზი, რადგან სკოლის მეირ შემუშავებულ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში მექანიზმები ზოგ შემთხვევაში უფრო ფართო და ფორმალიზებული იყო, ვიდრე მათი რეალური განხორციელება სკოლის ყოველდღიურ საქმიანობაში. სკოლას აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, სკოლის დაგეგმვის ჯგუფის შემადგენლობაში მუდმივმოქმედ წევრებად დაფიქსირებული ჰყავს დირექტორი, დირექტორის მოადგილე/ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი და ბუღალტერი. დროებით წევრებად კი აკადემიური პერსონალი, მშობლები და მოსწავლეები. აღსანიშნავია, რომ სკოლას არ ჰყავს დირექტორის მოადგილე და ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი. სკოლის მიერ წარმოადგენილი ბრძანების მიხედვით (25/09/2023 სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის განსაზღვრის შესახებ) შექმნილ სამუშაო ჯგუფში პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ მხოლოდ სკოლის შვიდი პედაგოგი. მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესების გათვალისწინება კი რეალურად მხოლოდ ვერბალური გზით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ხდება. სკოლამ შესაბამისობის გეგმაში შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა, რომ სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღწერილი და გაწერილი აქტივობები გაცნობილია სასკოლა საზოგადოებას, კერძოდ მშობლებსა და მასწავლებლებს, სკოლა დამატებით გეგმავს აღნიშნული დოკუმენტის მეტი ინფორმაციის მიწოდებას, ასევე უფროსი კლასის მოსწავლეებთან. სკოლას არ წარმოუდგენია განახლებული დოკუმენტი, რომელიც რეალური პროცესების შესაბამისად იქნებოდა გაწერილი. შესაბამისად, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობა ვერ უზრუნველყოფს ხარვეზის გამოსწორებას. ამიტომ, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიყვანოს შესაბამისობაში რეალურ პროცესებთან, მათ მიერ შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში - 2026 წლის 15 ივნისამდე. შესაბამისად, ინდიკატორი 1.2.1.1 შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლას დასკვნის პროექტის შესაბამისად დაუხარვეზდა ასევე 1.2.1.4 ინდიკატორი, რამდენადაც სკოლის მიერ შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რადგან მასში არ იყო ასახული აქტივობების შესრულების ინდიკატორები, შესაბამისი რესურსების (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური) გრაფა და შესრულების ვადები არ იყო რეალისტური. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის განახლებული სამოქმედო გეგმა, თუმცა, აღნიშნული დოკუმენტით სრულად არ არის გამოსწორებული ექსპერტთა მიერ დადგენილი ხარვეზი, რამდენადაც, გეგმაში რესურსების გრაფის დამატების მიუხედავად, ყველა აქტივობაზე მითითებულია არსებული რესურსი და არ არის დაკონკრეტებული რა რესურსი იგულისხმება, ადამიანური, მატერიალური თუ ფინანსური. გარდა ამისა, შესრულების ვადები ისევ არ არის მითითებული თვეების მიხედვით გაწერილი და მითითებულია სექტემბერი-ივნისი, სასწავლო წლის დასაწყისი ან არდადეგების პერიოდი. სკოლამ შესაბამისობის გეგმით შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა, რომ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში დაემატა შესრულებული ინდიკატორებისა და რესურსების გრაფა. სკოლა გეგმავს არსებული დოკუმენტის გაცნობას

რიგგარეშე პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე 2026 წლის 25 თებერვლამდე. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობა ვერ უზრუნველყოფს ხარვეზის გამოსწორებას. შესაბამისად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში, 2026 წლის 25 თებერვლამდე სკოლამ უზრუნველყოს ერთწლიან სამოქმედო გეგმაში რესურსების კონკრეტულად მითითება და ვადების თვეების შესაბამისად გაწერა. შესაბამისად, ინდიკატორი 1.2.1.4 შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც გაწერა, რომ 2026 წლის 15 ივნისამდე სკოლა სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელი დოკუმენტით გაწერს მრჩეველთა საბჭოს ფუნქცია-მოვალეობებს. თუმცა, ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული ხარვეზი მოიცავდა ბევრად ვრცელ ჩამონათვალს. მათ შორის, სკოლას მის მიერ შემუშავებული შიდა დოკუმენტით არ ჰქონდა განსაზღვრული სპეციალურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების ფუნქცია მოვალეობები. ასევე დოკუმენტით არ იკვეთება სუბორდინაცია, დასაქმებულ პირთა დაქვემდებარება და ანგარიშვალდებულება. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობა ვერ უზრუნველყოფს ხარვეზის გამოსწორებას. ამიტომ, სკოლის სკოლას მიეცა **რეკომენდაცია,** შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2026 წლის 15 ივნისამდე უზრუნველყოს სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელი დოკუმენტის სრულყოფა, კერძოდ, სტრუქტურაში დაამატოს მრჩეველთა საბჭო და სკოლაში არსებული ყველა პოზიციისათვის გაწეროს ფუნქცია-მოვალეობები და სუბორდინაცია მათ შორის. ზემოაღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.1 შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის შესაბამისადაც მიუთითა, რომ სკოლის სტრუქტურული ერთეულების მარეგურილებელ დოკუმენტში დაემატა სკოლაში დასაქმებულ იმ პირებთა ფუნქციები, რომლებიც გამორჩენილი ჰქონდა სკოლას. კერძოდ, ფსიქოლოგის, ენისა და მეტყველების სპეციალისტის, სპეციალური მასწავლებლის და ასისტენტის. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობის დაწყების თარიღად სკოლას მითითებული აქვს 19.01.2026, ხოლო დასრულების თარიღად 10.01.2026. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას არუმენტირებულ პოზიციასთან ერთად არ წარმოუდგენია განახლებული სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელი დოკუმენტი, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს ხარვეზის გამოსწორების საკითხი. ამიტომ, ინდიკატორი 3.1.1.2 კვლავ შეფასდა როგორც შეუსაბამო.

შესაბამისობის გეგმით სკოლამ ასევე განსაზღვრა, რომ 2026 წლის 19 მარტამდე უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლის პირადი საქმეების სრულყოფას, კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტებით. იგულისხმება ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების განთავსება. შესაბამისად, ინდიკატორი 3.1.2.3 შეფასდა როგორც მეტწილი.

რაც შეეხება 3.3.1.1 ინდიკატორთან მიმართებით სკოლის მიერ განსაზღვრულ შესაბამისობის გეგმით გაწერილ აქტივობას, სკოლამ მიუთითა, რომ 2026 წლის 15 ივნისამდე უზრუნველყოფს ხარისხის მართვის სამსახურის შექმნას, რათა საგანმანათლებლო საქმიანობა წარიმართოს უფრო ეფექტურად. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობა ვერ უზრუნველყოფს ხარვეზის გამოსწორებას, რადგან სკოლის მიერ ხარისხის მართვის უზრუნველყოფის დოკუმენტის შესაბამისად, ხარისხის მართვის სამსახურის შემადგენლობაში სკოლას მითითებული ჰყავს ისეთი პირები, რომლებიც სკოლას არ ჰყავს (სკოლის აკადემიური (აღმასრულებელი) დირექტორი; დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში და სკოლის კოორდინატორი), საჭიროა მოხდეს აღნიშნული დოკუმენტის კორექტირება და შესაბამისობაში მოყვანა სკოლის რეალობასთან. შესაბამისად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის 15 ივნისამდე უზრუნველყოს ხარისხის მართვის უზრუნველყოფის დოკუმენტის შესაბამისობაში მოყვანა სკოლის რეალურ პროცესებთან

და მხოლოდ ამის შემდეგ, აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად შექმნას ხარისხის მართვის სამსახური. შესაბამისად, ინდიკატორი 3.3.1.1 შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ექსპერტთა ჯგუფმა სკოლას დაუფიქსირა ასევე ხარვეზი 3.3.1.3 ინდიკატორთან მიმართებითაც, რადგან სკოლას არ ჰქონდა მასზე მორგებული თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას აღნიშნული არც შესაბამისობის გეგმით გაუწერია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები და არც ხარვეზის გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოუდგენია, ინდიკატორის შეფასება კვლავ დარჩა როგორც არ არის შესაბამისი.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით ასევე განსაზღვრა, რომ 2026 წლის 30 დეკემბრამდე უზრუნველყოფს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის დასკვნის მოპოვებასა და სკოლის ვიდეოსათვალთვალო სისტემით აღჭურვას. სკოლაში ვიზიტის პერიოდში ექსპერთა ჯგუფის მიერ ვერ მოხდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამის სამსახურთან შეთანხმების ფაქტის დადგენა, რადგან სკოლას არ წარმოუდგენია აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი. შესაბამისად, 3.4.1.1 ინდიკატორში ექსპერთა მიერ მოხდა აღნიშნული ხარვეზის განსაზღვრაც. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობები ნაწილობრივ უზრუნველყოფს ხარვეზის გამოსწორებას. ამიტომაც, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის 30 დეკემბრამდე უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის დასკვნის მოპოვება, სკოლის ვიდეოსათვალთვალო სისტემით აღჭურვა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამის სამსახურთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. ინდიკატორი 3.4.1.1 შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ექსპერტთა მიერ დაფიქსირდა ასევე ხარვეზი 3.4.1.2 ინდიკატორთან მიმართებით, რადგან სამედიცინო კაბინეტში არ იყო დაცული პაციენტის გასინჯვის პრივატულობა. სამედიცინო ტახტი არ იყო გამოყოფილი სპეციალური შირმით ოთახის სხვა სივრცისაგან და ასევე, ექიმის მიერ არ ხდებოდა სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურებისა და შემთხვევების აღრიცხვა კანონით დადგენილი წესით. არ ივსებოდა თითოეულ მოსწავლეზე შესაბამისი ფორმა, რომელშიც აღწერილი იქნებოდა თითოეული ვიზიტი, დაავადების სიმპტომები, მკურნალობის გზები და შემდგომი რეკომენდაციები. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ხარვეზის გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტები, შესაბამისად ინდიკატორი 3.4.1.2 შეფასდა როგორც შესაბამისი.

სკოლას დაფიქსირებული ჰქონდა ასევე ხარვეზი 3.4.1.6 და 3.4.1.7 ინდიკატორებთან მიმართებაში, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული/წარმოდგენილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მის მიერ შემუშავებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. შესაბამისად, ინდიკატორი 3.4.1.6 და 3.4.1.7 შეფასდა როგორც შესაბამისი.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა 3.5.1.3 ინდიკატორთან მიმართებით დაფიქსირებული ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტები. გამომდინარე იქიდან, რომ წიგნები მუშავდება საბიბლიოთეკო წესით და მათი დალაგება ბიბლიოთეკაში მოხდა ანბანურად, ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

სკოლამ 3.5.14 ინდიკატორთან მიმართებით დაფიქსირებულ ხარვეზთან დაკავშირებით შესაბამისობის გეგმაში მიუთითა, რომ სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს შშმ მოსწავლე, თუმცა 2026 წლის 30 დეკემბრამდე უზრუნველყოფს სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეების ხელმისაწვდომობას შშმ მოსწავლეთათვის. შესაბამისად, ინდიკატორი 3.5.1.4 შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
3.1.1.2	სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას	სკოლას არ აქვს გაწერილი სკოლაში დასაქმებული ყველა პირის ფუნქციები. უფლებამოსილებები არ არის დელეგირებული თანამშრომლებზე იმგვარად, რომ არ მოხდეს ფუნქციათა აღრევა, ან გადაკვეთა. (იხილეთ ინდიკატორის აღწერა)
3.3.1.3	სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა	სკოლას არ აქვს მასზე მორგებული თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. (იხ. ინდიკატორის აღწერა).

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
1.2.1.1	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში - 2026 წლის 15 ივნისამდე უზრუნველყოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია შესაბამისობაში მოიყვანოს რეალურ პროცესებთან. (იხილეთ ინდიკატორის აღწერა)

1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში, 2026 წლის 25 თებერვლამდე უზრუნველყოს ერთწლიან სამოქმედო გეგმაში რესურსების კონკრეტულად მითითება (ადამიანური, მატერიალური თუ ფინანსური) და ვადები გაწეროს თვეების შესაბამისად.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	სკოლას მიეცა **რეკომენდაცია,** შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2026 წლის 15 ივნისამდე უზრუნველყოს სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელი დოკუმენტის სრულყოფა, კერძოდ, სტრუქტურაში დაამატოს მრჩეველთა საბჭო და სკოლაში არსებული ყველა პოზიციისათვის გაწეროს ფუნქცია-მოვალეობები და სუბორდინაცია მათ შორის.
3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	სკოლას მიეცა **რეკომენდაცია**, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2026 წლის 19 მარტამდე უზრუნველყოს თანამშრომელთა პირად საქმეებში კანონმდებლობით გათვალისწინებული - ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების განთავსება.
3.3.1.1	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს	სკოლას მიეცა **რეკომენდაცია**, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის 15 ივნისამდე უზრუნველყოს ხარისხის მართვის უზრუნველყოფის დოკუმენტის შესაბამისობაში მოყვანა სკოლის რეალურ პროცესებთან და მხოლოდ ამის შემდეგ, აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად შექმნას ხარისხის მართვის სამსახური.
3.3.1.3	სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი	სკოლას არ აქვს მასზე მორგებული თანამშრომლები მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიე

	წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა	გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვ სისტემა. (იხ. ინდიკატორის აღწერა).
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	სკოლას მიეცა **რეკომენდაცია,** შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის 30 დეკემბრამდე უზრუნველყოს: • სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის დასკვნის მოპოვება; • სკოლის ვიდეოსათვალთვალო სისტემით აღჭურვა; • საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამის სამსახურთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.
3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის 30 დეკემბრამდე უზრუნველყოს სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეების ხელმისაწვდომობა შშმ მოსწავლეთათვის.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	*რჩევა*

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	სასურველია სკოლამ უზრუნველყოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. კერძოდ, რადგან საკანონმდებლო აქტების ნაწილი, რომელსაც ეფუძნება დოკუმენტი არის ძალადაკარგული, ჩანაცვლდეს მოქმედი სამართლებრივი აქტებით. ამავდროულად, სასურველია დოკუმენტში მუხლები და პუნქტები გამოიყოს უფრო თვალსაჩინოდ, რათა სკოლის მიერ დადგენილი დაინტერესებული პირებისთვის იყოს უფრო მარტივად და ცხადად აღქმადი.
3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	✓ სასურველია სკოლამ შიდა დოკუმენტით განსაზღვროს თანამშრომელთა (გარდა მასწავლებლისა და სპეციალური მასწავლებლისა) შერჩევისა და დასაქმების წესი; ✓ სასურველია სკოლამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განმსაზღვრელი დოკუმენტით განსაზღვროს მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები ენისა და მეტყველების თერაპევტისთვის. ✓ სასურველია სკოლას შიდა დოკუმენტით განსაზღვრული ჰქონდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დასაქმების შეზღუდვის შემთხვევები. კერძოდ, სასურველია გაიწეროს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა. შესაბამისად, სასურველია სკოლამ შიდა დოკუმენტით განსაზღვროს, რომ შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე

		კანდიდატებს ავალდებულებს სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები - ცნობა ნასამართლეობის შესახებ, ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ და ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის ნასამართლეობის შესახებ.
3.2.1.1	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები	სასურველია სკოლამ შიდა დოკუმენტით გაწეროს პერსონალის შეფასების კონკრეტული წესი, შეფასების განხორციელების საშუალებების, ვადებისა და განმახორციელებელი პირის/პირების მითითებით.
3.3.2.1	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები	სასურველია სკოლამ საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესით დეტალურად განსაზღვროს სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის ფორმა და საშუალებები.
3.4.1.5	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას	სასურველია სკოლამ საპირფარეშოები გამიჯნოს შესაბამისი სქესის სიმბოლიკით და უზრუნველყოს დაზიანებული კარის საკეტებისა და სახელურების შეცვლა/შეკეთება.
3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	სასურველია სკოლამ პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები მოარგოს სკოლის არსებულ, რეალურ სიტუაციას.
3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	✓ სასურველია სკოლამ მეტი კომპიუტერი განათავსოს კომპიუტერული ლაბორატორიაში, რათა ყველა მოსწავლისათვის ხელმისაწვდომი იყოს სკოლის კომპიუტერული რესურსი. ✓ სასურველია სკოლამ უზრუნველყოს დაზიანებული ინვენტარის შეკეთება/გამოცვლა ადაპტირებულ სველ წერტილში, რათა სკოლას ჰქონდეს მზაობა, საჭიროების შემთხვევაში მიიღოს შშმ მოსწავლე.

		✓ სსსმ მოსწავლეთა და სპეციალურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტთა რაოდენობის გათვალისწინებით, სასურველია სკოლამ უფრო დიდი ფართი გამოყოს რესურსოთახისათვის.
3.6.1.2	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად	სასურველია სკოლამ შეიმუშაოს შიდა რეგულაცია (წესი) ან/და განრიგი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის სარგებლობასთან დაკავშირებით.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
4.2.1.5	სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას	სასურველია, სკოლას მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი ჰქონდეს, თუ როგორ, რა მექანიზმებით უზრუნველყოფს სკოლა დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებას და მოსწავლეთა იტერესების მხარდაჭერას. მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა იცოდნენ, თუ როგორ, როდის და ვის უნდა მიმართონ საკუთარი ინიციატივების მხარდასაჭერად.
4.2.1.6	მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას	სასურველია, სკოლამ მარეგულირებელ დოკუმენტში გაწეროს, თუ როგორ, რა პერიოდულობით და რა მექანიზმებით იღებს უკუკავშირს მოსწავლეებისგან, მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლებისგან, მასწავლებლებისგან და როგორ ხდება ამ უკუკავშირის საფუძველზე მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესება.
4.2.2.1	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის	სასურველია, მარეგულირებელ დოკუმენტში უფრო დეტალურად გაწეროს ის აქტივობები და მექანიზმები, რომლებითაც უზრუნველყოფს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურებას. სასურველია, დაიგეგმოს უფრო მრავალფეროვანი აქტივობები ამ მიმართულებით (მაგ: თემში ცნობილ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან შეხვედრა და ა.შ.)
4.2.2.3	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს	სასურველია, სკოლამ ჩაატაროს გამოკითხვა კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში მოსწავლეთა მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით, რომლის შედეგების ანალიზიც უზრუნველყოფს უფრო ხარისხიანი პროფესიული ორიენტაციის მომსახურების განხორციელებას.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი

სტანდარტი 1	წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები	შესრულების სტატუსი
1.1.1.1	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაასრულოს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია *01.12.2023 – 30.12.2023*	შესრულებულია
1.1.1.3	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით უზრუნველყოს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია *01.12.2023 – 30.12.2023*	შესარულებულია
1.1.1.4	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით უზრუნველყოს მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 01.12.2023 – 30.12.2023	შესრულებულია
1.2.1.1.	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შეიმუშაოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია *01.12.2023 – 10.12.2023*	შესრულებულია
1.2.1.2	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შეიმუშაოს 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია *10.12.2023 – 30.12.2023*	შესრულებულია
1.2.1.3.	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შეიმუშაოს ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეფუძნება სტრატეგიული გეგმას. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია *03.01.2024 – 15.01.2024*	შესრულებულია
1.2.1.4	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შეიმუშაოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ინდიკატორით მოთხოვნილი პუნქტები. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია *03.01.2024 – 15.01.2024*	არ არის შესრულებული
1.2.2.1	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შეიმუშაოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მონიტორინგისა და მექანიზმები. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია *01.12.2023 –10.12.2023*	შესრულებულია
სტანდარტი 3	**წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები**	**შესრულების სტატუსი**
3.1.1.1	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით განსაზღვროს ყველა სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია *15.02.2024-15.03.2024*	არ არის შესრულებული

3.1.1.2	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით განსაზღვროს ყველა სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები, რომლებიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვას. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია *15.02.2024-15.03.2024*	არ არის შესრულებული
3.1.2.1	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შეიმუშაოს/დაამტკიცოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია *15.02.2024-15.03.2024*	შესრულებულია
3.1.2.3	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით უზრუნველყოს პერსონალის მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარმოდგენა. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია *01.10.2023-15.12.2023*	არ არის შესრულებული
3.1.2.4.	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შეიმუშაოს პერსონალის კვალიფიკაციის აღმწერი დოკუმენტი. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია *15.02.2024-15.03.2024*	შესრულებულია
3.3.1.1	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 15.03.2024-15.04.2024	არ არის შესრულებული
3.3.1.3	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შეიმუშაოს გასაჩივრების დეტალური პროცედურები. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 15.03.2024-15.04.2024	არ არის შესრულებული
3.4.1.1	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით ა) უფლებამოსილ ორგანოსთან შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; ბ) მოიპოვოს შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 20.11.2023-20.11.2024 ✓ სკოლას არ აქვს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნასთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა; ✓ ვერ დგინდება საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამის უწყებასთან შეთანხმების ფაქტი;	შესრულებულია ნაწილობრივ
3.4.1.5	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შეიმუშაოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 15.03.2024-15.04.2024	არ არის შესრულებული
3.4.1.6	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შეიმუშაოს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 15.03.2024-15.04.2024	არ არის შესრულებული

3.5.1.2	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის ბიბლიოთეკაში წიგნები დაამუშაოს საბიბლიოთეკო წესით. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 15.02.2024-15.03.2024	არ არის შესრულებული
3.5.1.3	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან კოორდინაციაში, სკოლაში უზრუნველყოს ინკლუზიური გარემო (შიდა კიბეებზე პანდუსის მოწყობა). აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 15.03.2024-15.04.2024	არ არის შესრულებული
3.6.3.5	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესაბამის უწყებისგან მიიღოს კონსულტაცია, განსაზღვროს ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე უფლებამოსილი პირი და ვებ გვერდზე განათავსოს სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაცია. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 27.11.2023-15.04.2024	შესრულებულია
სტანდარტი 4	წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები	შესრულების სტატუსი
4.1.1.1	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შეიმუშაოს მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელი შიდა აქტი. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია *15.04.2024-15.05.2024*	შესრულებულია
4.1.1.2	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შეიმუშაოს მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელი შიდა აქტი და უზრუნველყოს მისი გაზიარება და გამჭვირვალობა სასკოლო საზოგადოებასთან. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია *15.04.2024-15.05.2024*	შესრულებულია
4.2.1.1	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შეიმუშაოს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია *15.04.2024-15.05.2024*	შესარულებულია

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამის საჯარო სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს სკოლის მისიასა და ხედვას . მისიაში ცენტრალური აქცენტებია პატრიოტული სულისკვეთება, ტოლერანტი, შემოქმედებითი და კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქის აღზრდა. ხოლო ხედვა ორიენტირებულია მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერის ჩამოყალიბებაზე, რომლის მოსწავლეებიც აღჭურვილნი იქნებიან 21-ე საუკუნის კომპეტენციებითა და გლობალურ-ფუნქციური უნარებით.

ეს აქცენტები კი პირდაპირ შეესაბამება ზოგადი განათლების მიზნებს .ინტერვიუებში დაფიქსირდა ,რომ პედაგოგები და სკოლის ადმინისტრაცია აცნობიერებენ სკოლის მისიის შინაარსს და ხედავენ მის კავშირს ეროვნულ მიზნებთან, რაც მიუთითებს მისიის ცოცხალ გამოყენებაზე სასკოლო პრაქტიკაში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამის საჯარო სკოლის მისიაა აღზარდოს მოაზროვნე, შემოქმედი ადამიანი რომელიც შეძლებს ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებას და ანალიზს. სკოლის ხედვა ეფუძნება პრინციპს, რომ იგი იყოს მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული, თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისად, ზრუნავდეს თავისუფალი და კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე. რომელიც 2030 წლისთვის მოთხოვნადი კადრი იქნება შრომის ბაზარზე. წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში. ფორმალური და არაფორმალური განათლების წარმატებულად ინტეგრაციის ხარჯზე. ინტერვიუების მიხედვით, პედაგოგები და მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია კეთილგანწყობილი, თანამშრომლობითი ატმოსფერო. დირექტორთან კომუნიკაცია ღია და ხელმისაწვდომია,

რაც ამყარებს უსაფრთხოების განცდას. მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინიციატივები ფასდება, რაც მოწმობს, რომ სკოლა აღიქმება არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ კულტურულ სივრცედაც. სასკოლო გარემო უზრუნველყოფს თანასწორობის, სამართლიანობისა და კეთილდღეობის პრინციპების რეალიზაციას, რაც სრულად შეესაბამება სკოლის ხედვის შინაარსს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის ფილოსოფია შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. პროცესი დაიწყო 27/09/2023 წლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფით, რომელმაც ჩაატარა გამოკითხვა სასკოლო საზოგადოების აზრის შესასწავლად. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული პროექტი განიხილა და უკუკავშირი გამოთქვა სასკოლო საზოგადოების ყველა სეგმენტმა. ინტერვიუს პროცესში მშობლებმა, მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მისიის ხედვისა და ღირებულებების შემუშავება მოხდა მათი ჩართულობით, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაც. აღნიშნული მიდგომა იძლევა საფუძველს დასკვნისთვის, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები რეალურად წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების საერთო ხედვას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სკოლის ფილოსოფიის პროექტი შეიმუშავებულ იქნა დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფის მიერ. პროექტის შემუშავებას წინ უძღვოდა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა კითხვარების საშუალებით, უკუკავშირის მიღების მიზნით, განიხილეს პედაგოგიურ საბჭოზეც.საბოლოო სახით დამტკიცებული დოკუმენტის გასაზიარებლად კი სკოლამ გამოიყენა სხვადასხვა პლატფორმა: სკოლის ვებ-გვერდი, სოციალური ქსელის დახურული ჯგუფები, ასევე გამოკრული იქნა სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის ფოიეში, ასევე ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდზე სკოლის თანამშრომლები, მშობლები და მოსწავლეები ინფორმირებულნი არიან ამ რესურსების შესახებ, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და საზოგადოებისთვის ღიაობას. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია როგორც ფიზიკური, ისე ციფრული არხებით, რაც სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის დასახელება „სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის, სოფ. ოკამის საჯარო სკოლა“ შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448 (15/09/2005) -"ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება N2/50, 27.09.2023სამუშაო ჯგუფის შექმნაზე;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობისთვის კითხვარი
- სკოლის ვებ-გვერდი
- ინტერვიუ მასწავლებლებთან/მოსწავლეებთან/ მშობლებთან
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სსიპ -კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამის საჯარო სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს დაგეგმვის ეტაპებს, პასუხისმგებლობებსა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმებს. მეთოდოლოგია აღწერს, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას პროცესში ჩართულია როგორც სკოლის მუდმივი (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი, ბუღალტერი), ისე დროებითი წევრები (აკადემიური პერსონალი, მასწავლებლები, მოსწავლეები), სასაკოლო საზოგადოების უკუკავშირის მიღებისა და გათვალისწინების საშუალებად გამოიყენება საკვლევი კითხვარები, განხილვები, თემატური სამუშაო შეხვედრები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პრიორიტეტების დადგენას სასკოლო საზოგადოების საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით. გასაუბრებისას დადგინდა, რომ დოკუმენტში აღწერილი ზოგიერთი პროცესი სრულად არ ასახავს სკოლაში მიმდინარე პროცესებს. კერძოდ, დოკუმენტში წარმოდგენილი მექანიზმები ზოგ შემთხვევაში უფრო ფართო და ფორმალიზებულია, ვიდრე მათი რეალური განხორციელება სკოლის ყოველდღიურ საქმიანობაში. მაგ: დაგეგმვისა და განვითარების ფუნქციები პრაქტიკაში ხორციელდება არსებული ადამიანური რესურსის ფარგლებში, სკოლას არ ჰყავს დირექტორის მოადგილე და ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი, სკოლის მიერ წარმოადგენილი ბრძანების მიხედვით (25/09/2023 სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის განსაზღვრის შესახებ) შექმნილ სამუშაო ჯგუფში პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ მხოლოდ სკოლის შვიდი პედაგოგი ხოლო სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების საშუალებად მრავალფეროვანი მეთოდებია მითითებული, რეალურად კი მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესების გათვალისწინება ვერბალური გზით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ხდება.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა, რომ სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღწერილი და გაწერილი აქტივობები გაცნობილია სასკოლო საზოგადოებას, კერძოდ მშობლებსა და მასწავლებლებს, სკოლა დამატებით გეგმავს აღნიშნული დოკუმენტის მეტი ინფორმაციის მიწოდებას, ასევე უფროსი კლასის მოსწავლეებთან. სკოლას არ წარმოუდგენია განახლებული დოკუმენტი, რომელიც რეალური პროცესების შესაბამისად იქნებოდა გაწერილი. შესაბამისად, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობა ვერ უზრუნველყოფს ხარვეზის გამოსწორებას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლას მიეცა **რეკომენდაცია**: შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში - 2026 წლის 15 ივნისამდე უზრუნველყოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია შესაბამისობაში მოიყვანოს რეალურ პროცესებთან.

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023–2030 წლებისთვის ასახავს გრძელვადიან ხედვას, რომელიც ეფუძნება სკოლის ფილოსოფიასა და ღირებულებებს. დოკუმენტი სტრუქტურირებულია შვიდწლიანი ციკლის პრინციპით და მოიცავს მისიის შესაბამის მიზნებს, ამოცანებსა და შედეგებს. სტრატეგიული მიზნები დაკავშირებულია როგორც საგანმანათლებლო ხარისხის გაუმჯობესებასთან, ისე სასკოლო კულტურის განვითარებასთან, პედაგოგთა პროფესიული ზრდისა და მოსწავლეთა კეთილდღეობის ხელშეწყობასთან. დოკუმენტი მოიცავს შედეგებზე ორიენტირებულ მიდგომას და განსაზღვრავს მონიტორინგის პერიოდულობას. ადმინისტრაციასა და პედაგოგებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ სტრატეგიული გეგმა აღიქმება არა როგორც ფორმალური დოკუმენტი, არამედ როგორც მართვის რეალური ინსტრუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის განვითარებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მიხედვით სკოლას არ ჰქონდა დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, თუმცა მონიტორინგის დროს სკოლამ წარმოადგინა დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას,

გამომდინარეობს სკოლის ყოველწლიური თვითშეფასებიდან, განხილულია სამურვეო საბჭოს N3 სხდომაზე და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ 2025 წლის 8 სექტემბერის N1 ოქმით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

ვიზიტის დროისათვის წარმოადგენილ 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში, აქტივობები გაწერილია არსებული შვიდწლიანი სტარატეგიული გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია კონკრეტული მიზნები და ამოცანები მითითებულია თითოეული აქტივობის განმახორციელებელი პასუხისმგებელი პირი/პირები/სტრუქტურული ერთეულები. თუმცა სამოქმედო გეგმაში არ არის შესრულების გაზომვადი იდიკატორებისა და შესაბამისი რესურსების გრაფა , ასევე შესრულების ვადები არ არის თვეების მიხედვით გაწერილი.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის განახლებული სამოქმედო გეგმა, თუმცა, აღნიშნული დოკუმენტით სრულად არ არის გამოსწორებული ექსპერტთა მიერ დადგენილი ხარვეზი, რამდენადაც, გეგმაში რესურსების გრაფის დამატების მიუხედავად, ყველა აქტივობაზე მითითებულია არსებული რესურსი და არ არის დაკონკრეტებული რა რესურსი იგულისხმება, ადამიანური, მატერიალური თუ ფინანსური. გარდა ამისა, შესრულების ვადები ისევ არ არის მითითებული თვეების მიხედვით გაწერილი და მითითებულია სექტემბერი-ივნისი, სასწავლო წლის დასაწყისი ან არდადეგების პერიოდი. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობა ვერ უზრუნველყოფს ხარვეზის გამოსწორებას. შესაბამისად,

სკოლას მიეცა **რეკომენდაცია**, შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადაში, 2026 წლის 25 თებერვლამდე უზრუნველყოს ერთწლიან სამოქმედო გეგმაში რესურსების კონკრეტულად მითითება (ადამიანური, მატერიალური თუ ფინანსური) და ვადები გაწეროს თვეების შესაბამისად.

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.
- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა 2023-2030წწ
- 2025-2026 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში
- ინტერვიუები სასაკოლო საზოგადოების ყველა სეგმენტთან

- პედსაბჭოს საბჭოს ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- ბრძანება სტრატეგიული დადგეგმარების მეთოდოლოგიის განსაზღვრის შესახებ
- ბრძანება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მონიტორინგის პროცესი განისაზღვრება, როგორც მონაცემების შეგროვება გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულებასთან დაკავშირებით, ხოლო შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება მონიტორინგის ჯგუფის მიერ წელიწადში ერთხელ სასწავლო წლის ბოლოს, ხოლო სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი ხორციელდება მოქმედების პერიოდში ორჯერ (შუაში და ბოლოს), საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტში შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილების შეტანა და არაგეგმიური მონიტორინგიც.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

ინტერვიუების პროცესის და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სკოლა ახორციელებს მონიტორინგს შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. პასუხისმგებელი პირები (მათ შორის, მასწავლებლები და ადმინისტრაცია) წერილობით ანგარიშს, წარადგენენ სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარესთან შესრულებული სამუშაოს შესახებ. ტარდება გაერთიანებული შეხვედრა, რომელზეც თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი ("შესრულდა", "ნაწილობრივ შესრულდა", "არ შესრულდა"). მონაცემების შეგროვება მოიცავს სასკოლო საზოგადოების წევრებისგან მიღებული

ინფორმაციის ანალიზს, რაც აკავშირებს მონიტორინგის პროცესს სასკოლო
საზოგადოების უკუკავშირთან. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

მეთოდოლოგია ითვალისწინებს, რომ დამტკიცებული ანგარიშები საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება სკოლის ვებგვერდზე. ანგარიშები ფორმდება ნარატიული ფორმით. სკოლამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმის საბოლოო ანგარიში, რომელიც შესრულდა პასუხისმგებელ პირების/სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე და მონიტორინგის შედეგების ანალიზი. შიდა ფორმატში ეს ანგარიშები განიხილება პედსაბჭოსა და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე. ვებგვერდზეც ატვირთულია სამოქმედო გეგმის ანგარიში და შესაბამისად საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლა სისტემურად იყენებს შესრულების შედეგების ანალიზს შემდგომი წლის დაგეგმვისას. სკოლის ყოველწლიური პრაქტიკაა დირექტორის ანგარიშის, კათედრის სხდომებზე გაანალიზებული საკითხების, მშობელთა კრების ოქმებიდან მიღებული უკუკავშირებისა თუ სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებში გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინება. წინა წლის ანგარიშის ანალიზი წარმოადგენს შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის საფუძველს, რაც უზრუნველყოფს განვითარების პროცესის უწყვეტობას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.
- 2025-2026 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- 2024-2025 ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
- 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგების ანალიზი.
- სკოლის ვებ-გვერდი.
- ინტერვიუები დირექტორთან, პედაგოგებთან და სამუშაო ჯგუფის წევრებთან.
- პედსაბჭოსა და სამეურვეო საბჭოს შეხვედრების ჩანაწერები;
- მშობელთა კრების ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის სტრუტურული ერთეულების მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლის შესაბამისადაც, სკოლის სტრუქტურა მოიცავს სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმართველობას, დირექციას, ადმინისტრაციას, ტექნიკურ პერსონალს, პედაგოგიურ საბჭოს და საგნობრივ კათედრებს. სკოლას აღნიშნული დოკუმენტით განმარტებული აქვს, ვისგან შედგება დირექცია და ადმინისტრაცია, თუმცა არ განმარტავს ტექნიკური პერსონალის შემადგენლობას. სკოლას ჰყავს ასევე მრჩეველთა საბჭო. ის არ არის გათვალისწინებული სკოლის სკოლის სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალში, თუმცა, აღნიშნული დოკუმენტით სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად, განსაზღვრულია მრჩეველთა საბჭოს ფუნქციებიც.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლა სტრუქტურულ ერთეულებთან მიმართებაში ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N448 ბრძანებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტით განსაზღვრული უნდა იყოს სკოლაში მოქმედი ყველა სტრუქტურული ერთეული, მათ შორის, მრჩეველთა საბჭო და შესაბამისად, გაწერილი უნდა იყოს ყველა სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია-მოვალეობები.

სკოლაში არსებული თანამდებობრივი პოზიციები განსაზღვრულია სკოლის საშტატო განრიგითა და სტრუტურული ერთეულების მარეგულირებელი დოკუმენტით. სკოლას ჰყავს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებელი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ასისტენტები, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, 3 დარაჯი და 3 დამლაგებელი. თუმცა, სკოლის მიერ შემუშავებული სტრუტურული ერთეულების მარეგულირებელი დოკუმენტი არ მოიცავს სკოლაში არსებულ ყველა პოზიციას და აღნიშნულ პოზიციებზე დასაქმებულ პირთა უფლება-მოვალეობებს. მათ შორის, სკოლას აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული არ აქვს სპეციალურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების ფუნქციები. სკოლაში დასაქმებულ პირთა კონკრეტული ფუნქციები განსაზღვრულია თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით.

სკოლის სტრუტურული ერთეულების მარეგულირებელი დოკუმენტით არ იკვეთება სუბორდინაცია, რამდენადაც აღნიშნული დოკუმენტი არ მოიცავს სკოლაში არსებულ ყველა პოზიციას და შესაბამისად, არ არის განსაზღვრული თუ ვის ექვემდებარებიან აღნიშნულ პოზიციებზე დასაქმებული პირები და ვის მიმართ არიან ანგარიშვალდებული ისინი.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც გაწერა, რომ 2026 წლის 15 ივნისამდე სკოლა სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელი დოკუმენტით გაწერს მრჩეველთა საბჭოს ფუნქცია-მოვალეობებს. თუმცა, ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული ხარვეზი მოიცავდა ბევრად ვრცელ ჩამონათვალს. მათ შორის, სკოლას მის მიერ შემუშავებული შიდა დოკუმენტით არ ჰქონდა განსაზღვრული სპეციალურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების ფუნქცია მოვალეობები. ასევე დოკუმენტით არ იკვეთება სუბორდინაცია, დასაქმებულ პირთა დაქვემდებარება და ანგარიშვალდებულება. შესაბამისად,

სკოლას მიეცა **რეკომენდაცია,** შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2026 წლის 15 ივნისამდე უზრუნველყოს სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელი დოკუმენტის სრულყოფა, კერძოდ, სტრუქტურაში დაამატოს მრჩეველთა საბჭო და სკოლაში არსებული ყველა პოზიციისათვის გაწეროს ფუნქცია-მოვალეობები და სუბორდინაცია მათ შორის.

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრუტურული ერთეულების მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულებისა და სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობები, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ დოკუმენტი არ არის სრული და არ მოიცავს ყველა სტრუქტურულ ერთეულს და არ განსაზღვრავს სკოლაში დასაქმებული ყველა პირის ფუნქციას, ვერ მიიჩნევა, რომ ის უზრუნველყოფს სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და სკოლაში დასაქმებული პირების მიერ შესასრულებელი ფუნქციების მკაფიოობას. აღნიშნული დოკუმენტით არ არის ასევე გაწერილი სკოლაში დასაქმებულ პირების ურთიერთდაქვემდებარება და ანგარიშვალდებულება. რაც ცხადყოფს სკოლაში არსებულ სუბორდინაციას.

სკოლაში დასაქმებულ ზოგიერთ პირს, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა, დაკისრებული აქვს გარკვეული პასუხისმგებლობები. მაგალითისათვის, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელია დირექტორის მოადგილე. ასევე, სკოლას ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრული ჰყავს ერთ-ერთი მასწავლებელი.
გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ჰყავს მანდატური, სკოლის დირექტორის ბრძანებით, ერთ-ერთი თანამშრომელი განსაზღვრულია სკოლის უსაფრთხოებაზე და ძალადობის შემთხვევების იდენტიფიკაციასა და რეფერალზე პასუხისმგებელ პირად. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 ინავრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს მანდატური და სკოლის დირექცია, ხოლო იმ სკოლაში, რომელშიც არ არის მანდატური - უფლებამოსილი პირი და სკოლის დირექცია. შესაბამისად, სკოლის მიერ დამატებით უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა ხელს უშლის პასუხისმგებლობების კანონმდებლობის შესაბამისად განაწილებას.
სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის შესაბამისადაც მიუთითა, რომ სკოლის სტრუქტურული ერთეულების მარეგურილებელ დოკუმენტში დაემატა სკოლაში დასაქმებულ იმ პირებთა ფუნქციები, რომლებიც გამორჩენილი ჰქონდა სკოლას. კერძოდ, ფსიქოლოგის, ენისა და მეტყველების სპეციალისტის, სპეციალური მასწავლებლის და ასისტენტის. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობის დაწყების თარიღად სკოლას მითითებული აქვს 19.01.2026, ხოლო დასრულების თარიღად 10.01.2026. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას არუმენტირებულ პოზიციასთან ერთად არ წარმოუდგენია განახლებული სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელი დოკუმენტი, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს ხარვეზის გამოსწორების საკითხი. ამიტომ, ინდიკატორი 3.1.1.2 კვლავ შეფასდა როგორც შეუსაბამო.

ხარვეზი: სკოლას არ აქვს გაწერილი სკოლაში დასაქმებული ყველა პირის ფუნქციები. უფლებამოსილებები არ არის დელეგირებული თანამშრომლებზე იმგვარად, რომ არ მოხდეს ფუნქციათა აღრევა, ან გადაკვეთა.
ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საშტატო განრიგი;
- თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- სტრუტურული ერთეულების მარეგულირებელი დოკუმენტი;
- სკოლის უსაფრთხოებაზე და ძალადობის შემთხვევების იდენტიფიკაციასა და რეფერალზე პასუხიდმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
- სკოლის ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში დასაქმებული პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით, სკოლის შინაგანაწესითა და თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად. სკოლას აქვს საკუთარი ორგანიზაციული მოწყობა და შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვისა პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკას. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, სკოლის მიზანია უზრუნველყოს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა ეფექტიანად და კანონთან, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით, ასევე, შექმნას გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას. სკოლის ამოცანას წარმოადგენს დაწესებულების სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა; დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება და დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს ადამიანური რესურსების განვითარების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის საკითხს, პროფესიულ განვითარებას, თასაქმებულთა მოტივაციის გაზრდას და სხვა.

ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტის შესაბამისად, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების მიზნით, სკოლა სხვადასხვა საშუალებით ახორციელებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას და მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, სკოლა გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს.

სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს ინფორმაციას იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომელსაც ეფუძნება დოკუმენტი. მითითებულ დოკუმენტთა უმრავლესობა, მათ შორის, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსების დანამატების, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დანამატების მასწავლებლებზე გაცემის მიზნით საჯარო სკოლებისათვის ყოველთვიურად დამატებითი დაფინანსების გამოყოფის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 18 დეკემბრის №163/ნ ბრძანება; „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის №126/ნ ბრძანება, „საჯარო სკოლის დირექტორის

სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 იანვრის №15/ნ ბრძანება არის ძალადაკარგული. რეგულირების სფეროს გათვალისწინებით, შემუშავებულია განახლებული დოკუმენტები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სკოლამ.

რჩევა: სასურველია სკოლამ უზრუნველყოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. კერძოდ, რადგან საკანონმდებლო აქტების ნაწილი, რომელსაც ეფუძნება დოკუმენტი არის ძალადაკარგული, ჩანაცვლდეს მოქმედი სამართლებრივი აქტებით. ამავდროულად, სასურველია დოკუმენტში მუხლები და პუნქტები გამოიყოს უფრო თვალსაჩინოდ, რათა სკოლის მიერ დადგენილი დაინტერესებული პირებისთვის იყოს უფრო მარტივად და ცხადად აღქმადი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლა პერსონალის მართვის პროცესში ახორციელებს პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკას. კერძოდ, კადრების ნაკლებობისა თუ ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, სკოლა დროულად აცხადებს ვაკანსიებს და მოქმედებს როგორც კანონმდებლობით, ისე შიდა ბრძანებებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად.

სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში, საათების გადანაწილება ხდება საგნობრივ კათედრაზე. ხოლო, თუ სკოლას რომელიმე მასწავლებლის ჩანაცვლება სჭირდება ხანგრძლივი პერიოდით და საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით შეუძლებელია საათები განაწილდეს კათედრის წევრებს შორის, ხდება დროებით თანამშრომლის მიღება. აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითაც.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებულია სამუშაო ადგილზე დაგვიანებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში სკოლის ინფორმირების წესი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლას შემუშავებული აქვს დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დოკუმენტი და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტების მიზანია კვალიფიციური პირების შერჩევა ვაკანტურ პოზიციებზე.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, სკოლაში კონკრეტული საგნის ვაკანტური საათების არსებობის შემთხვევაში ვაკანსია შეივსება შიდა ან ღია კონკურსის საფუძველზე, ხოლო სპეციალური მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის შემთხვევაში ინიშნება ღია კონკურსი. სკოლას განსაზღვრული აქვს როგორც ღია კონკურსის, ისე შიდა კონკურსის საფუძველზე მასწავლებელთა შერჩევის პირობები და პროცედურები.

სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრული აქვს მხოლოდ მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის შერჩევისა და დასაქმების წესი. დანარჩენ თანამშრომელთა სამსახურში მიღების წესი არ აქვს სკოლას განსაზღვრული.

სკოლას დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დოკუმენტით განსაზღვრული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნების სკოლაში არსებული ყველა პოზიციისათვის, გარდა ენისა და მეტყველების თერაპევტისა. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაშია ზოგიერთ პოზიციასთან მიმართებით კანონმდებლობით განსაზღვრულ მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. ამასთან, სკოლა იცავს მის მიერ განსაზღვრულ წესს, რამდენადაც სკოლაში დასაქმებული პირების კვალიფიკაცია შეესაბამაება სკოლის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პერსონალის შერჩევასთან დაკავშირებით ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას ნაწილობრივ აქვს გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დასაქმების შეზღუდვის შემთხვევები. კერძოდ, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტიღ სკოლას განსაზღვრული აქვს, რომ მასწავლებელი, მოწვეული ან/და შემცვლელი მასწავლებელი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არ აქვს ნასამართლობა. გარდა ამისა, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა. შესაბამისად, სასურველია სკოლას შიდა დოკუმენტით დეტალურად ჰქონდეს განსაზღვრული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დასაქმების შეზღუდვის შემთხვევები.
შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე სკოლა კანდიდატებს ავალდებულებს სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები - ცნობა ნასამართლეობის შესახებ, ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ და ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის ნასამართლეობის შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას შიდა დოკუმენტით არ აქვს გაწერილი აღნიშნული მოთხოვნა, სასურველია სკოლამ შიდა დოკუმენტით განსაზღვროს, რომ შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე კანდიდატებს ავალდებულებს სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინოს

ზემოთ აღნიშნული ცნობები.

თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულ პირთა დიდ ნაწილს არ აქვს წარმოდგენილი კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები, ბოლო პერიოდში დასაქმებულ ერთ-ერთ პირს კი საერთოდ არ აქვს პირადი საქმე გახსნილი და შესაბამისად, მისი არანაირი დოკუმენტი არ ინახება სკოლაში. დამატებით კი უნდა აღინიშნოს, რომ პირველად ავტორიზაციაზე სკოლას აღნიშნულ საკითხზე მიეცა რეკომენდაცია, რაც სკოლის მიერ არ შესრულებულა.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის შესაბამისადაც განსაზღვრა, რომ 2026 წლის 19 მარტამდე უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლის პირადი საქმეების სრულყოფას, კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტებით. შესაბამისად, სკოლას მიეცა **რეკომენდაცია**, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2026 წლის 19 მარტამდე უზრუნველყოს თანამშრომელთა პირად საქმეებში კანონმდებლობით გათვალისწინებული - ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების განთავსება.

რჩევა: სასურველია სკოლამ შიდა დოკუმენტით განსაზღვროს თანამშრომელთა (გარდა მასწავლებლისა და სპეციალური მასწავლებლისა) შერჩევისა და დასაქმების წესი.

რჩევა: სასურველია სკოლამ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განმსაზღვრელი დოკუმენტით განსაზღვროს მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები ენისა და მეტყველების თერაპევტისთვის.

რჩევა: სასურველია სკოლას შიდა დოკუმენტით განსაზღვრული ჰქონდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დასაქმების შეზღუდვის შემთხვევები. კერძოდ, სასურველია გაიწეროს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა. შესაბამისად, სასურველია სკოლამ შიდა დოკუმენტით განსაზღვროს, რომ შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე კანდიდატებს ავალდებულებს სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები - ცნობა ნასამართლეობის შესახებ, ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ და ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის ნასამართლეობის შესახებ.

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებლის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. ასევე, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაშია სკოლის ექიმისა და სპეციალურ განათლებაში ჩართულ პირთა კვალიფიკაციაც.

გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დოკუმენტი. სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ სკოლის მიერ აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულ მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი კოლეგიური სტრუქტურული ერთეულების სხდომის ოქმებითა და სკოლის თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ სკოლაში მიმდინარე პროცესები ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას. მასწავლებელთა გუნდური მუშაობა ნათლად იკვეთება საგნობრივი კათედრების სამუშაო პროცესში. ისინი ერთად განიხილავენ და გეგმავენ ურთიერთდასწრებას, მსჯელობენ სწავლების სტრატეგიებზე, ეხმარებიან ერთმანეთს სასწავლო რესურსების მოძიებაში და უზიარებენ ერთამენთს ინფორმაციას განათლების სფეროში დანერგილი ახალი მიდგომებისა და მეთოდების შესახებ.

სკოლას ჰყავს თორმეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, რომელთა დასკვნებში ასახული რეკომენდაციების შესაბამისადაც, სკოლას დასაქმებული ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ასისტენტები. აღნიშნულ მოსწავლეთათვის ინდ. გეგმის შემუშავების მიზნით, მოსწავლეთა საგნის მასწავლებლები, სპეციალური განათლებაში ჩართული პირები და დამრიგებელი ერთიანდებიან მათ ისგ ჯგუფებში. ისინი ერთობლივად ადგენენ მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებულ გეგმას, ირჩევენ აქტივობებსა და საჭირო რესურსებს.

სკოლის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესებისა და ორგანიზაციული საკითხების განხილვის პროცესებში. სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომელშიც გაერთიანებულია ყველა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი.

გუნდური და მონაწილეობითი მუშაობა გამოიკვეთა სკოლაში ვიზიტის დროსაც. აღსანიშვნავია, რომ სკოლაში მასწავლებლის პოზიციაზე დასაქმებული არიან ყოფილი დირექტორები, რომლებიც დირექტორის მოვალეობის შემსრულებელთან აქტიურად თანამშრომლობენ, უზიარებენ მას თავიანთ გამოცდილებას და ერთად ზრუნავენ სკოლის მართვასა და განვითარებაზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს პატივისცემისა და აღიარების ატმოსფეროს შექმნას სკოლის მხრიდან და ასევე თანამშრომელთა აქტიური ჩართულობის წახალისებას.
გარდა ამისა, სკოლას შინაგანაწესით განსაზღვრული აქვს წახალისების მექანიზმები. კერძოდ, პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის წარმოჩენისთვის, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოვება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება, ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. შინაგანაწესი წახალისების ფორმებთან ერთად ადგენს მათი გამოყენების წესსაც.
დამატებით უნდა აღინიშნოს სკოლაში დამკვიდრებულია ერთგვარი პრაქტიკა თანამშომელთა წახალისებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სასწავლო წლის დაწყებისას ან სასწავლო წლის ბოლოს, სკოლის დირეტორი პედაგოგიურ საბჭოზე ასახელებს აქტიურ თანამშრომლებს, მათ მიღწევებს და წახალისების მიზნით მადლობას უცხადებს სიტყვიერად ან სკოლის სახელით გადასცემს მადლობის სიგელებს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ სკოლას აქვს გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების ეფექტიანი მექანიზმი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- კონკურსის გამოცხადების მასალები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- სკოლაში დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დოკუმენტი;
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება და ისგ ჯგუფის ოქმები;

- თანამშრომელთა წახალისების დამადასტურებელი დოკუმენტები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესაბამისად, სკოლის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შიდა მექანიზმის დანერგვა კათედრების საშუალებით.

გარდა ამისა, სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, სკოლა სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე კი სკოლა გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. აღნიშნული შეფასება ხორციელდება სწორედ კათედრების ფარგლებში ურთიერთდასწრების ფორმატში. ისინი ესწრებიან მასწავლებლების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს და აძლევენ მათ შესაბამის უკუკავშირს.

სკოლის პერსონალის საჭიროებების დადგენისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობის მიზნით, სკოლას დაგეგმილი აქვს მასწავლებელთა თვითშეფასება, გაკვეთილებზე დირექციისა და ურთიერთდასწრება და ტრენინგების უზრუნველყოფა.

გარდა ამისა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით, სკოლა აქტიურად ერთვება სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში, უზრუნველყოფს მასწავლებელთა მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების

მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში.

მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმებს პედაგოგები განიხილავენ ასევე საგნობრივ კათედრებზე. წარმოდგენილი დოკუმენტებითა და თანამშრომლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ კათედრებზე ხორციელდება ერთობლივი გაკვეთილების დაგეგმვა-განხორციელება, კათედრის წევრთა შორის იგეგმება ურთიერთდასწრება და ხდებაუკუკავშირის მიცემა. სკოლის მიერ განხორციელებული შეფასებისა მონიტორინგის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, სკოლა გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს.

რჩევა: სასურველია სკოლამ შიდა დოკუმენტით გაწეროს პერსონალის შეფასების კონკრეტული წესი, შეფასების განხორციელების საშუალებების, ვადებისა და განმახორციელებელი პირის/პირების მითითებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ასევე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს თანამშრომელთა შეფასებისა და პროფესიული განვითარების საკითხებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და თანამშრომლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზებას.

გარდა ამისა, სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით პერსონალის განვითარება ხდება საჭიროებიდან გამომდინარე, როგორც თავად მასწავლებელთა ინიციატივით, ისე მასწავლებლის სახლთან თანამშრომლობითა და შესაბამისი ტრენინგების გავლით.

სკოლის მხრიდან საჭიროებების გამოვლენისა და რეაგირებისთვის მზაობა იკითხება იკითხება სკოლის სამოქმედო გეგმაში და დასტურდება ასევე სკოლის თანამშრომელთა სერტიფიკატებით/ცნობებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის ადმინისტრაცია საგნობრივი კათედრების ჩართულობით, ცდილობს ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ ზრდას, რისთვისაც ადგენს თანამშრომელთა საჭიროებებს. შესაბამისი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისას, სკოლა არჩევს და გეგმავს სხვადასხვა ღონისძიებებს. აღნიშნული მიმართულებით, აქტიურად მუშაობენ საგნობრივი კათედრები. სკოლის ადმინისტრაციის ორგანიზებით სკოლაში ტარდება შეხვედრები, რომელზეც პედაგოგები ერთად განიხილავენ კარიერული ზრდისთვის საჭირო აქტივობებს. გარდა ამისა, სკოლაში მოქმედებს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი, რომლის საშუალებითაც მასწავლებლები ერთმანეთს აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს, რასაც ითვალისწინებენ შემდგომ საქმიანობაში.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს მასწავლებელთა თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობა, რაც გამოიხატება მათ შორის ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებზე მიღებული ცოდნისა და გამოცდილების კოლეგებთან გაზიარებაშიც.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან ყველა საჭირო პირობაა შექმნილი, რათა მოხდეს სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაცია. სკოლა ზრუნავს, რომ მათ მიერ შერჩეულმა პირმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა, წარმატებით გაიაროს ორგანიზაციასთან ადაპტაციის პროცესი და გახდეს სკოლის ღირებული წევრი.

ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი სკოლას გათვალისწინებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტით, რომელიც მოიცავს ისეთი საკითხებს, როგორიცაა თანამშომელთა ადაპტაციის ეტაპები, ინფორმაცია ადაპტაციის პროცესში ჩართული პირებისა და მათი მოვალეობების შესახებ, ადაპტაციის მიზნით განსახორციელებელი სხვადასხვა ღონისძიებები და აქტივობები.

დასაქმებულის ადაპტაციის პროცესს ხელს უწყობენ დირექტორი და საგნობრივი კათედრების თავმჯდომარეები. ისინი ახალ თანამშრომლებს წარუდგენენ სკოლის კოლექტივს, აცნობენ სკოლის ორგანიზაციულ კულტურას, მათ პირად უფლება-მოვალეოებებსა და სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. ასევე ათვალიერებინებენ სკოლის შენობას და ამატებენ მათ ყველა საკომუნიკაციო ჯგუფში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია სკოლის მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან. სკოლაში წახალისებულია კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. აღსანიშნავია, რომ სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრთან და

მასწავლებელთა სახლთან. ადმინისტრაცია თანამშრომლებს სისტემატურად აწვდის ინფორმაციას დაგეგმილ სავალდებულო თუ არასავალდებულო ტრენინგების შესახებ. მასწავლებლები კი თავის მხრივ აქტიურად ესწრებიან ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებს.
გარდა ამისა, თანამშრომელთა წახალისების მექანიზმებს ვხვდებით სკოლის შინაგანაწესში. კერძოდ, პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის წარმოჩენისთვის, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოვება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება, ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. შინაგანაწესი წახალისების ფორმებთან ერთად ადგენს მათი გამოყენების წესსაც.
სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების ფაქტი გამოიკვეთა თანამშრომლებთან გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვისა პოლიტიკა;
- სკოლის სტრატეგიული გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კათედრის ოქმები;
- თანამშრომელთა სერტიფიკატები და ცნობები;
- თანამშრომელთა წახალისების ბრძანებები;
- თანამშრომლებთან ინტერვიუ.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი ძირითადად ეფუძნება სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლის სამოქმედო გეგმას. აღნიშნული დოკუმენტები ერთმანეთთან თანხვედრაშია და გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და მიზნებიდან. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საგნობრივი კათედრების მიერ ხორციელდება სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასება და შემდგომი გაუმჯობესება.

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის მართვის უზრუნველყოფის დოკუმენტი - ხარისხის მართვის სამსახურის დებულება, რომლის მიხედვითაც დებულების შემუშავების მიზანია სკოლის მისიისა და დასახული მიზნების რეალიზაციის, ზოგადი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად სკოლის ხარისხის სისტემატური შეფასების და ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმების განსაზღვრა.

აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, ხარისხის მართვის სამსახურის შემადგენლობაში შედიან: სკოლის აკადემიური (აღმასრულებელი) დირექტორი; დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში და სკოლის კოორდინატორი. სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამის საჯარო სკოლაში დირექტორის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მოადგილე. სკოლას არ ჰყავს არც აკადემიური (აღმასრულებელი) დირექტორი, არც მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში და არც სკოლის კოორდინატორი. შესაბამისად, იკვეთება, რომ ხარისხის მართვის სამსახურის შემადგენლობა არ არის შესაბამისი სკოლის რეალობასთან. დოკუმენტში ფიქსირდება ასევე საჯარო სკოლის სპეციფიკისათვის შეუსაბამო ტერმინები და ფრაზები. მაგალითად, მომხმარებელთა აზრის კვლევა. მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის მართვის სამსახურის დებულებით განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებები, ცალსახაა, რომ აღნიშნული დოკუმენტი არ

არის მორგებული სკოლის არსებულ რეალობას. შესაბამისად, ვერ მიიჩნევა, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც განსაზღვრა, რომ 2026 წლის 15 ივნისამდე უზრუნველყოფს ხარისხის მართვის სამსახურის შექმნას, რათა საგანმანათლებლო საქმიანობა წარიმართოს უფრო ეფექტურად. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის მიერ ხარისხის მართვის უზრუნველყოფის დოკუმენტის შესაბამისად, ხარისხის მართვის სამსახურის შემადგენლობაში სკოლას მითითებული ჰყავს ისეთი პირები, რომლებიც სკოლას არ ჰყავს (სკოლის აკადემიური (აღმასრულებელი) დირექტორი; დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში და სკოლის კოორდინატორი), საჭიროა მოხდეს აღნიშნული დოკუმენტის კორექტირება და შესაბამისობაში მოყვანა სკოლის რეალობასთან. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლას მიეცა **რეკომენდაცია**,
შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის 15 ივნისამდე უზრუნველყოს ხარისხის მართვის უზრუნველყოფის დოკუმენტის შესაბამისობაში მოყვანა სკოლის რეალურ პროცესებთან და მხოლოდ ამის შემდეგ, აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად შექმნას ხარისხის მართვის სამსახური.
ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში. მათ შორის, შინაგანაწესში, სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებში, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში, კურუკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიაში და სასკოლო სასწავლო გეგმაში.

სკოლის ძირითადი პროცესებია ეროვნული სასწავლო გეგმის შესრულება, უსაფრთხო, გამართული სასწავლო პროცესი, საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების შესრულება და ფინანსური მართვა. რაც შეეხება სკოლის დამხმარე პროცესებს, ის მოიაზრებს უსაფრთხოების წესების დაცვასა და მონიტორინგს, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვასა და მონიტორინგს, სასწავლო რესურსების მიზნობრივ გამოყენებას, გეგმაზომიერად შევსებასა და განახლებას, დამატებითი დაფინანსების წყაროების მოპოვება-განკარგვას, სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების საკითხს, კვების პუნქტის ფუნქციონირებასა და პროფესიული განათლების ხელშეწყობას.
სკოლაში არსებული დამხმარე პროცესებს განსაზღვრავს სკოლის საქმიანობა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესი, სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი და სხვა.

ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის შინაგანაწესის 22-ე მუხლის შესაბამისად, სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს და მათზე რეაგირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლამ წარმოადგინა გასაჩივრების წესი, რომელსაც არ ახლავს დამტკიცების ბრძანება. გარდა ამისა, დოკუმენტში ნახსენებია გენერალური დირექტორი, რომელიც სკოლას არ ჰყავს. აგრეთვე, დოკუმენტით განსაზღვრულია საჩივრის წარდგენის წესი, სადაც მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართი არ ემთხვევა სკოლის ელექტრონულ ფოსტას.

ხარვეზი: სკოლას არ აქვს მასზე მორგებული თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა.

ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სასკოლო საზოგადოების კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, სკოლას აქვს შემუშავებული შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო და დისციპლინური კომიტეტი, ჰყავს ორი მანდატური, სკოლის ექიმი და თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი.

სკოლის თანამშრომელთა უფლებების დაცვის საკითხს ითვალისწინებს, თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ხოლო მოსწავლეთა და მათ კანონიერ წარმომადგენელთა უფლებების დაცვას ასევე უზრუნველყოფს მოსწავლის მშობელთან/კანონიერთან გაფორმებული ხელშეკრულებები. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებსა და მოსწავლეებს შინაგანაწესით გათვალისწინებულ წესებთან ერთად აცნობენ მათ უფლება-მოვალეობებსაც. სკოლის შინაგანაწესი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. ამასთანავე, სასკოლო საზოგადოების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, დერეფანში გამოკრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და სახალხო დამცველის აპარატის ცხელი ხაზის ნომრები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დგინდება, რომ სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამშრომელთა ხელშეკრულებები;
- მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- განცხადების/ საჩივრის განხილვის წესი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელი დოკუმენტი გარკვეულწილად მოიცავს ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის ჭრილში, კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტით გაწერილია მშობელთან კომუნიკაციის საშუალებები, ფორმები და პერიოდულობა. შესაბამისად, ეს დოკუმენტი არ განსაზღვრავს დეტალურად სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების სკოლასთან ურთიერთობის სტრატეგიებსა და საშუალებებს.
დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის თანამშრომლებთან და მოსწავლეთა მშობლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმირება ხდება სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის, მშობელთა კრებაზე (პერსონალური მონაცემების დაცვით, ზოგადი მიმოხილვა), ელექტრონული ჟურნალით, ელექტრონული ფოსტით, ტელეფონითა და სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების საშუალებით. გარდა ამისა, სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიღების დღეები და საათები.

სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისათვის სკოლა იყენებს სკოლის სოციალური ქსელის გვერდს, სადაც განთავსებულია სკოლის შესახებ ყველა საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია აღნიშნული საშუალებით გაეცნოს მისთვის საინტერესო ინფორმაციას და იმავდროულად უკუკავშირის მიღების შესაძლებლობასაც იძლევა.

გარდა ამისა, სკოლა იყენებს სკოლის ვებ. გვერდს, რომლის საშუალებითაც საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომს ხდის საჯარო დოკუმენტებს. აღნიშნული დოკუმენტების განთავსება ხდება სკოლის საინფორმაციო დაფაზეც.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან. მართვის პროცესებთან დაკავშირებით აქტუალური საკითხები განიხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, მშობელთა კრებებზე და ასევე სადამრიგებლო საათის ფარგლებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დგინდება, რომ სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მათზე რეაგირების მექანიზმები.

რჩევა: სასურველია სკოლამ საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესით დეტალურად განსაზღვროს სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის ფორმა და საშუალებები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო და კათედრები. ყველა სტრუქტურული ერთეული დაკომპლექტებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. ყველა სტრუქტურული რგოლის მუშაობის მთავარი მიზანი დემოკრატიული გარემოს შექმნაა. სასკოლო საზოგადოების წევრების კოლეგიალური ორგანოების საშუალებით სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა განაპირობებს სკოლის წარმატებას. შესაბამისად, სკოლა ხელს უწყობს კოლეგიალური ორგანოების აქტიურ ფუნქციონირებას. უნდა აღინიშნოს მშობელთა ჩართულობა სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინურ კომიტეტში. თითოეული საფეხურის ერთი მშობელი არის სამეურვეო საბჭოს წევრი, წარმოადგენენ მშობელთა ხმას სამეურვეო საბჭოში და მონაწილეობენ სკოლის ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცესში. ისინი აქტიურად ერთვებიან ასევე სასკოლო-სასწავლო გეგმის განხილვისა და შეთანხმების პროცესში. გარდა ამისა დისციპლონური კომიტეტის წევრები არიან სკოლის მასწავლებლები, მოსწავლე და მშობელი.

სკოლაში ფუნქციონირებს ასევე მოსწავლეთა თვითმართველობა. აღნიშნული ორგანოების ფუნქციონირება კი თავისთავად გულისხმობს სასკოლო საზოგადოების წევრების თანაბარ ჩართულობას, რაც გამოიხატება შეხვედრებზე საკუთარი მოსაზრების დაფიქსირებითა და ინიციატივების გამოვლენით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელი დოკუმენტი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი (დისციპლინურ კომიტეტში მშობელი წევრების წარდგენასთან დაკავშირებით);
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- მოსწავლეთა თვითმართველობის ოქმები;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ ბრძანება;
- საინფორმაციო დაფები;
- სკოლის ვებ. გვერდი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,**

სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლას ჰყავს ორი მანდატური, რომელთაც ევალებათ სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება, ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა.

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფენ სკოლის ექიმი და დარაჯები, (სკოლას ჰყავს 3 დარაჯი). აღნიშნული პირების საშუალებით კონტროლდება როგორც შენობის შიდა, ისე გარე პერიმეტრი. სკოლას სართულების მიხედვით ჰყავს მორიგე მასწავლებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ დერეფნებში წესრიგის დაცვას და მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა არის აღჭურვილი კამერებით. სკოლამ პირველადი ავტორიზაციის პერიოდისათვის წერილობით მიმართა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასრუქტურული განვითარების სააგენტოს, თუმცა სააგენტოში განხორციელებული რეორგანიზაციის გათვალისწინებით, აღნიშნულ წერილს რეაგირება ამ დრომდე არ მოჰყოლია და არც სკოლას განუხორციელებია დამატებით რაიმე მოქმედება სკოლის კამერებით აღჭურვის მიზნით.

სკოლას პირველადი ავტორიზაციისას მიეცა რეკომენდაცია, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა მოეპოვებინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში. ასევე, სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში წარმოედგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებული იქნებოდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სკოლამ მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა შენობის მდგრადობის დადებითი დასკვნა. რაც შეეხება საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას, სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტი, თუმცა, არ წარმოუდგენია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ აღნიშნული დოკუმენტის შეთანხმების წერილი. (წარმოდგენილ იქნა მხოლოდ სკოლის წერილი შეთანხმების მოთხოვნით).

რაც შეეხება შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნასთან შესაბამისობის შესახებ უფლებამოსილ უწყებასთან მიმართვას, სკოლას აქვს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტი, რომლითაც გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები. სკოლას პირველადი ავტორიზაციისას მიეცა რეკომენდაცია, წარმოედგინა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. თუმცა, მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში სკოლას შესაბამისი დოკუმენტი არ წარმოუდგენია.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც განსაზღვრა, რომ 2026 წლის 30 დეკემბრამდე უზრუნველყოფს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის დასკვნის მოპოვებასა და სკოლის ვიდეოსათვალთვალო სისტემით აღჭურვას. სკოლაში ვიზიტის პერიოდში ექსპერთა ჯგუფის მიერ ვერ მოხდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამის სამსახურთან შეთანხმების ფაქტის დადგენა, რადგან სკოლას არ წარმოუდგენია აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი. შესაბამისად, სკოლას მიეცა **რეკომენდაცია,** შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის 30 დეკემბრამდე უზრუნველყოს:
სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის დასკვნის მოპოვება;
სკოლის ვიდეოსათვალთვალო სისტემით აღჭურვა;
საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამის სამსახურთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, რომელიც არეგულირებს სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესსა და პირობებს. გარდა ამისა, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველსაყოფად, სკოლას პირველ სართულზე მოწყობილი აქვს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, ნიავდება ბუნებრივი ვენტილაციის გზით და აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით. ექიმის კაბინეტი უზრუნველყოფილია საჭირო მედიკამენტითა და პირველადი დახმარებისათვის საჭირო საშუალებებით.
სამედიცინო კაბინეტში არ იყო დაცული პაციენტის გასინჯვის პრივატულობა, რამდენადაც სამედიცინო ტახტი არ იყო გამოყოფილი სპეციალური შირმით ოთახის სხვა სივრცისაგან.

სკოლას ჰყავს ექიმი, რომლის კვალიფიციკაციაც სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ის აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. კერძოდ, გაკვეთილების დაწყებამდე ყოველდღიურად ამოწმებს სკოლის სველ წერტილებს, ადგენს საჭირო მედიკამენტების სიასა და სავარაუდო რაოდენობას, რომლითაც სკოლა უზრუნველყოფს სამედიცინო კაბინეტს.

თუმცა, ექიმი კანონით დადგენილი წესით არ ახდენდა სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურებისა და შემთხვევების აღრიცხვას. არ ავსებდა თითოეულ მოსწავლეზე შესაბამის ფორმას, რომელშიც აღწერილი იქნებოდა თითოეული ვიზიტი, დაავადების სიმპტომები, მკურნალობის გზები და შემდგომი რეკომენდაციები.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ხარვეზის გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტები. სამედიცინო ტახტის გამოყოფა მოხდა შირმით ოთახის სხვა სივრცისაგან. ასევე, სკოლის ექიმმა დაიწყო სამედიცინო მომსახურებისა და შემთხვევების აღრიცხვა კანონით დადგენილი წესით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც იკრიბება სემესტრში ორჯერ და განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მასწავლებლების, მოსწავლეების, კანონიერი წარმომადგენლების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემებისა და მათ მიერ შეთავაზებული გადაწყვეტის გზებს. მიღებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ და სხვა.

სკოლა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, პერიოდულად ატარებს საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეებისა და მშობლებისათვის. მოსწავლეთათვის მათი უფლებებისა და წესების გაცნობა ხდება სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლების მიერ.

ამასთანავე, სკოლას ჰყავს ორი მანდატური, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. სკოლას შემუშავებული აქვს ასევე მასწავლებელთა მორიგეობის განრიგიც, რომლის შესაბამისადაც, მასწავლებლები ყოველდღიურად აკონტროლებენ შენობის ყველა სართულს.

სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლას გამოკრული აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი – 112 (შემდგომ – 112). ასევე გამოკრულია განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ნომერი და საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში აქტიურად არის ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის აყვანილი სკოლის ფსიქოლოგი. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოებისთვის ფსიქოსოციალური მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი. ამისათვის, სკოლას თვალსაჩინო ადგილას აქვს განთავსებული ცენტრის ცხელი ხაზის ნომერი. სასწავლო წლის დაწყებისთანავე სკოლა მოსწავლეებსა და მათ

კანონიერ წარმომადგენლებს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების საშუალებით აწვდის ინფორმაციას ცხელი ხაზის ნომრების, შესაბამისი სამსახურის ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ.

გარდა ამისა, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში შექმნილია ასევე მრჩეველთა საბჭო, რომელიც აქტიურად მუშაობს და მოსწავლეებისთვის გეგმავს საგანმანათლებლო-საინფორმაციო აქტივობებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ძალადობა, ბულინგი, კიბერბულინგი, ნაადრევი ქორწინება თუ ჯანსაღი წესი. აღნიშნული მიმართულებით აქტიურად მუშაობენ კლასის დამრიგებლებიც.

დამატებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკოლაში პოზიტიური სასწავლო გარემოა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთათვის ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს სკოლის სამი დამლაგებელი, რომლებიც ყოველდღიურად სველი წესით ალაგებენ საკლასო ოთახებსა და დერეფნებს, პერიოდულად კი ატარებენ სადეზინფექციო სამუშაოებს. დამლაგებლების მიერ სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების შესრულებასაც ზედამხედველობს და მონიტორინგს უწევს სკოლის ექიმი.
სკოლაში ვიზიტის პერიოდში სუფთა და მოწესრიგებული იყო როგორც საკლასო ოთახები, ისე დერეფნები და სკოლის ეზო. სველი წერტილები უზრუნველყოფილი იყო პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებითა და საჭირო რესურსებით. თუმცა, სასურველია მეტი ყურადღება დაეთმოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას საპირფარეშოებში. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საპირფარეშოებზე არ იყო განთავსებული ნიშანი, თუ რომელი სქესისათვის რომელი საპირფარეშოა განკუთვნილი. ასევე, საპირფარეშოების ნაწილში დაზიანებულია კარის საკეტი და სახელური.

რჩევა: სასურველია სკოლამ საპირფარეშოები გამიჯნოს შესაბამისი სქესის სიმბოლიკით და უზრუნველყოს დაზიანებული კარის საკეტებისა და სახელურების შეცვლა/შეკეთება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველსაყოფად უნდა ჰქონდეს შემუშავებული პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, რომლითაც განსაზღვრული ექნება მონაცემთა დამუშავების მიზნები და პრინციპები. სკოლას პირველი ავტორიზაციის ფარგლებში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შეემუშავებინა და წარმოედგინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები. თუმცა, სკოლას მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, ან ვიზიტის შემდგომ ასეთი დოკუმენტი არ წარმოუდგენია.

სასკოლო საზოგადოების პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები ინახება საქმისმწარმოებელთან. სკოლის ყველა კომპიუტერი უზრუნველყოფილია ლიცენზირებული პროგრამებითა და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებული ინტერნეტით.

სკოლას პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრად განსაზღვრული ჰყავს საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სკოლის მიერ შემუშავებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტით სკოლას განსაზღვრული აქვს მონაცემთა დაცვის საკითხი ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას, როგორც სკოლის გარე, ისე სკოლის შიდა პერიმეტრზე განთავსებული კამერების გათვალისწინებით. თუმცა, სკოლა არ არის აღჭურვილი ვიდეოსათვალთვალო სისტემით. ასევე, სკოლას ამავე დოკუმენტით განსაზღვრული აქვს თუ რა პერსონალურ მონაცემებზე აქვს წვდომა დირექტორის მოადგილეს, როცა სკოლას არ ჰყავს ამ პოზიციაზე დასაქმებული კადრი. შესაბამისად, სკოლას მიეცა **რჩევა**:
სასურველია სკოლამ პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები მოარგოს სკოლის არსებულ, რეალურ სიტუაციას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული/წარმოდგენილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, რომლის შესაბამისადაც ხორციელდება მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების დამუშავება, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნობრიობის გათვალისწინება და პერსონალური მონაცემების დაცვა. სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, გადადემულია არქივისათვის.
სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცულობას გარეშე პირების უკანონო წვდომისაგან. სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი.

სკოლას პირველი ავტორიზაციის ფარგლებში მიეცა რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შეემუშავებინა და წარმოედგინა მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. თუმცა, სკოლას არც მონიტორინგის ვიზიტისას და არც ვიზიტის შემდგომ ასეთი დოკუმენტი არ წარმოუდგენია.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო. გარდა ამისა, სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ მანდატურები. სკოლის დოკუმენტების გაცნობითა და სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობას. ამ მიმართულებით აქტიურად არის ჩართული მრჩეველთა საბჭო, რომელიც გასცემს რეკომენდაციებს მოსალოდნელი საფრთხეების და რისკების პრევენციისათვის. სასწავლო წლის ბოლოს დირექტორი წარმოადგენს ანგარიშს სასკოლო პერიოდის განმავლობაში, რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ექიმის ხელშეკრულება;
- დამლაგებლის ხელშეკრულება;
- ფსიქოლოგის ხელშეკრულება;
- დარაჯის ხელშეკრულება
- სკოლის ვებ. გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;

- მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი;
- შენობის მდგრადობის დასკვნა;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, სკოლას სარგებლობაში აქვს 20407.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით. სკოლაში არის 17 საკლასო ოთახი, რომელიც აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ასაკზე მორგებული ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და სასკოლო დაფებით. წარმოდგენილი დოკუმენტებითა და სკოლის დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლას მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისად, გააჩნია საკმარისი რაოდენობით საჭირო სასკოლო ინვენტარი.

სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერებით, ერთი პრინტერითა და პროექტორით. სკოლის ინვენტარიზაციის დოკუმენტაციის გაცნობით დგინდება, რომ სკოლას აქვს საკმარისი რაოდენობის კომპიუტერები. თუმცა, სკოლაში ვიზიტის პერიოდისათვის, კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული იყო მხოლოდ 8 კომპიუტერი. ინტერნეტი და კომპიუტერული რესურსი ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მოსწავლისა და თანამშრომლისათვის.

სკოლას აქვს სხვადასხვა თვალსაჩინოებები და აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. აღსანიშნავია, რომ სკოლას ერთ-ერთ ოთახში მოწყობილი აქვს სამოქალაქო განათლების კლუბის ოთახი, რომელიც მოსწავლეებში დიდი პოპულარობიბით სარგებლობს. ოთახში მოსწავლეებს განთავსებული აქვს სხვადასხვა აქტივობის ფარგლებში, მათივე ხელით შესრულებული საინტერესო ნამუშევრები.

სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტი და აღნიშნული კაბინეტისათვის განკუთვნილი ყველა საჭირო მატერიალური რესურსი.

სკოლას აქვს ღია სპორტული მოედანი, დახურული სპორტული დარბაზი და ასევე სააქტო დარბაზი. აქვს ასევე ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, საინფორმაციო და სხვა სახის მასალები. სკოლის შემოსასვლელში განთავსებულია პანდუსი და რაც შშმ მოსწავლეს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შენობაში შესვლისა და გადაადგილების შესაძლებლობას მისცემს. სკოლას პირველ სართულზე განთავსებული აქვს ექიმის კაბინეტი. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას ამ ეტაპზე ჰყავს 12 სსსმ მოსწავლე და დასაქმებული ჰყავს სპეციალურ განათლებაში ჩართული არაერთი სპეციალისტი, რესურსოთახად გამოყოფილი აქვს კლასი მეორე სართულზე. თუმცა, სკოლა მზაობას გამოთქვამს, შშმ პირის სკოლაში მიღების შემთხვევაში, რესურსოთახი გადაიტანოს შენობის პირველ სართულზე. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას მოწყობილი აქვს ადაპტირებული სველი წერტილი, რომელიც სკოლაში ვიზიტის პერიოდისათვის იყო მოუწესრიგებელი. კერძოდ, დაზიანებული იყო ნიჟარა და უნიტაზი.

რჩევა: სასურველია სკოლამ მეტი კომპიუტერი განათავსოს კომპიუტერული ლაბორატორიაში, რათა ყველა მოსწავლისათვის ხელმისაწვდომი იყოს სკოლის კომპიუტერული რესურსი.

რჩევა: სასურველია სკოლამ უზრუნველყოს დაზიანებული ინვენტარის შეკეთება/გამოცვლა ადაპტირებულ სველ წერტილში, რათა სკოლას ჰქონდეს მზაობა, საჭიროების შემთხვევაში მიითოს შშმ მოსწავლე.

რჩევა: სსსმ მოსწავლეთა და სპეციალურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტთა რაოდენობის გათვალისწინებით, სასურველია სკოლამ უფრო დიდიფართი გამოყოს რესურსოთახისათვის.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლაში არსებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის ძირითადი პრინციპი სკოლაში არსებული რესურსების

ხელმისაწვდომობაა მოსწავლეებისა და თანამშომლებისათვის, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხრიდან სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას.

სკოლაში არსებულ საერთო სარგებლობის სივრცეებია ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რესურსოთახი, სააქტო დარბაზი, სკოლის შიდა სპორტული დარბაზი და გარე მოედანი.

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლაში ირიცხება 12 სსსმ მოსწავლე, სკოლას მოწყობილი აქვს რესურს-ოთახი, რომელიც აღჭურვილია მოსწავლეთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დაკმაყოფილების აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით. ამ ეტაპზე რესურს-ოთახი მოწყობილია შენობის მეორე სართულზე, რადგან სკოლაში არ ირიცხება შშმ მოსწავლე. დახურული სპორტული დარბაზისა და სააქტო დარბაზის ხელმისაწვდომობის მიზნით, აღნიშნულ სივრცეებამდე მისასვლალდ მოწყობილია პანდუსი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, რომლითაც გაწერილია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესიც. ბიბლიოთეკას აქვს როგორც სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ისე საკითხავი, სასკოლო საგნობრივი ლიტერატურა და დამხმარე ლიტერატურა და მასალები.

სკოლას პირველადი ავტორიზაციისას მიეცა რეკომენდაცია საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებით, რამდენადაც სკოლაში ვიზიტის პერიოდისათვის ბიბლიოთეკის წიგნების ნაწილი იყო დამუშავებული, ნაწილი კი, დასამუშავებელია საბიბლიოთეკო წესით (არ ჰქონდა სკოლის ბეჭედი და საინვენტარო ნომრები). გარდა ამისა, წიგნების ნაწილი დალაგებულია იყო ანბანურად, ნაწილი კი დასალაგებელი.

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, ბიბლიოთეკაში შემოწმდა რეკომენდაციის შესრულების საკითხი, თუმცა, მონიტორინგის ვიზიტისას სკოლის ბიბლიოთეკის წიგნების ნაწილი ჯერ კიდევ არ იყო დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით, და არც დალაგებული იყო ანბანურად.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტები. წიგნები მუშავდება საბიბლიოთეკო წესით და მათი დალაგება ბიბლიოთეკაში მოხდა ანბანურად.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლას ნაწილობრივ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლის შესასვლელში და საერთო სარგებლობის სივრცეებთან - სააქტო დარბაზთან და შიდა სპორტულ დარბაზთან მისასვლელად სკოლაში არის მოწყობილი პანდუსი. საერთო სარგებლობის ზოგიერთი სივრცე, მაგ. კომპიუტერული ლაბორატორია, ექიმის კაბინეტი, მოწყობილია შენობის პირველ სართულზე, მაგრამ ზოგიერთი სივრცე, მაგ.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რესურს-ოთახი, მოწყობილია შენობის მეორე სართულზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე პერიოდისათვის სკოლაში არ ირიცხება შშმ მოსწავლე. სკოლას ჰყავს 12 სსსმ მოსწავლე, თუმცა, ზემოთ აღნიშნული საერთო სარგელობის სივრცეები ხელმისაწვდომია ყველა სსსმ მოსწავლისათვის. სკოლას აქვს ასევე ადაპტირებული საპირფარეშო. აღნიშნული საპირფარეშოს მოწესრიგებაზე სკოლას მიეცა რჩევა.

სკოლა სსსმ მოსწავლესთან მუშაობისას ხელმძღვანელობს სკოლის მიერ შემუშავებულო სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციით და სკოლის მიერ დამტკიცებული ინკლუზიური განათლების განხორციელების ერთწლიანი სამოქმედო გეგმით, რომელშიც გაწერილია სასწავლო წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები და პასუხისმგებელი პირები. სკოლას ჰყავს 12 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ორი ასისტენტი.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას პირველადი ავტორიზაციისას სკოლას შიდა კიბეებზე არ ჰქონდა მოწყობილი პანდუსი, რაზეც მიეცა რეკომენდაცია. მონიტორინგის ვიზიტისას, სკოლის შიდა კიბეებზე ჯერ კიდევ არ იყო მოწყობილი პანდუსი. სკოლამ უნდა უზრუნველყოს მეორე სართული ადაპტირება (პანდუსი) ან საერთო სარგებლობის სივრცეების - ბიბლიოთეკის, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებისა და ისტ ლაბორატორიის პირველ სართულზე განთავსება.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმაში მიუთითა, რომ სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს შშმ მოსწავლე, თუმცა 2026 წლის 30 დეკემბრამდე უზრუნველყოფს სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეების ხელმისაწვდომობას შშმ მოსწავლეთათვის.

რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის 30 დეკემბრამდე უზრუნველყოს სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეების ხელმისაწვდომობა შშმ მოსწავლეთათვის.

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. დერეფნები, სკოლის ეზო, ღია სპორტული მოედანი, დახურული სპორტ სარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, სამოქალაქო განათლების კლუბის ოთახი ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები.

საკლასო ოთახები აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც საშუალებას იძლევა მკითხველებმა ის გამოიყენონ საკითხავ სივრცედაც. მოსწავლეთა ნამუშევრები განთავსებულია სკოლის საკლასო ოთახებსა და დერეფანში, რაც თავის მხრივ მამოტივირებელ გარემოს შექმნის მოსწავლეთათვის.
დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას აქვს საკმაოდ დიდი და ლამაზი ეზო.
ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეებს და სასკოლო საზოგადოებას განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სკოლას სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებაში.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ მოსწავლეთა განათლების რეგულაციის წესი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები
3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერითა და პროექტორით. კომპიუტერული ლაბორატორია უზრუნველყოფილია ასევე მუდმივი ინტერნეტით. სკოლა ელექტრონული საქმისწარმოებას ახორციელებს - email.mes.gov.ge, e-Flow.emis.ge. e-School.emis.ge ელექტრონულ სისტემაში. შესაბამისად, სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შესაძლებლობას იძლევა სრულფასოვნად წარიმართოს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესი სკოლაში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფილია კომპიუტერებითა და მუდმივი ინტერნეტით. სკოლას აქვს არსებული მოსწავლეთა რაოდენობისათვის საკმარისი კომპიუტერები. შესაბამისად, მიეცა რჩევა, რომ კომპიუტერულ ლაბორატორიაში განათავსოს მეტი კომპიუტერი, მოსწავლეებისათვის შეუზღუდუავად ხელმისაწვდომობის მიზნით. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ მიზნობრიობის გათვალისწინებით, შეუზღუდავად გამოიყენონ სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. გარდა ამისა, კომპიუტერით უზრუნველყოფილი არიან სკოლის ექიმი და ბიბლიოთეკარიც. თუმცა, ისინი ნაკლებად იყენებენ სამუშაო პროცესში კომპიუტერს.

სკოლას არ აქვს შემუშავებული შიდა რეგულაცია (წესი) ან/და განრიგი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობასთან დაკავშირებით, თუმცა, სკოლის თანამშრომლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს და მასწავლებლებს კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული სამუშაო სივრცით სარგებლობა შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით შეუზღუდავად, თუ კაბინეტში კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები არ მიმდინარეობს.

რჩევა: სასურველია სკოლამ შეიმუშაოს შიდა რეგულაცია (წესი) ან/და განრიგი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის სარგებლობასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვიზუალური დათვალიერება.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს ერთიანი საქმისწარმოების დებულება (წესი), რომელიც არეგულირებს საქმისწარმოების ერთიან წესებსა და პროცედურებს. საქმისწარმოების სისტემის ორგანიზებასა და დოკუმენტების დამუშავებას ახორციელებს საქმისმწარმოებელი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ის ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას და სხვა. სკოლაში შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow მეშვეობით. შესაბამისად, სარეგისტრაციო ნომრისა და თარიღის მინიჭება ხორციელდება ელექტრონულად. სკოლა აწარმოებს დირექტორის საერთო და საკადრო ბრძანებებისა და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). ასევე, სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა ინფორმაციის დეტალურად ასახვა ხდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). აღნიშნულ სისტემაში ხორციელდება ასევე მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის შესახებ ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი, რომლის საშუალებითაც ხდება მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვა, შეფასება, მშობლებთან კომუნიკაცია. ელექტრონულ ჟურნალში შესაძლებელია ასევე სკოლის ღონისძიებების, გაკვეთილების ცხრილის, გამოცდებისა და მოსწავლისთვის განკუთვნილი საშინაო დავალებების შესახებ ინფორმაციის შემოწმება.

გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის მიღება-გავრცელებისათვის სკოლა იყენებს სკოლის

სოციალური ქსელის გვერდსა და ჯგუფებს.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლაში ვიზიტის დროს შემოწმდა სკოლის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, რომელშიც სკოლის ბარათი და ყველა სავალდებულო ველი შევსებულია სრულყოფილად. სკოლას შევსებული აქვს ასევე მასწავლებელთა პროფილებიც.
ესქულის ელექტრონული სისტემის საშუალებით სკოლა ახორციელებს მოსწავლის მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და აღდგენას, კლასის ცვლილებას, სამეურვეო საბჭოს არჩევნების შედეგების ასახვას, სახელმძღვანელოების არჩევა-აღრიცხვას, საგაკვეთილო ცხრილებისა და განრიგის შეტანას. E-School-ის სისტემაში სკოლა ასევე განსაზღვრავს პირველკლასელთა ლიმიტს, ახორციელებს საფეხურის დაძლევას და მოსწავლეთა ამორიცხვას.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან კომუნიკაციას სკოლა ამყარებს საგანმანათლებლო რესურსცენტრის საშუალებით.
დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მხრიდან დროულად ხდებას ანგარიშების, უკუკავშირის და ინფორმაციის მიწოდება საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებთან. ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს ფინანსური და სასწავლო წლის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო ყოველი წლის 10 დეკემბერს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, პრემიერ მინისტრს, პრეზიდენტსა და საკანონმდებლო მაცნეს საჯარო ინფორმაციის წარდგენის შესახებ ანგარიშს.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ერთიანი საქმისწარმოების დებულება (წესი);
- სკოლის პროფილი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

- სამეურვეო საბჭოს ოქმი დირექტორის წლიურ ანგარიშთან დაკავშირებით;
- სარეგისტრაციო ჟურნალები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის იყენებს სკოლის ვებგვერდს, სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებს, რომელთა საშუალებითაც სასკოლო საზოგადოების წევრები და დაინტერესებული პირები იღებენ ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას ვებ. გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრული ჰყავს ერთ-ერთი მასწავლებელი.

გარდა ამისა, სკოლას აქვს სოციალური ქსელის გვერდი, რომელსაც აქტიურად იყენებენ სკოლის ყოველდღიური ცხოვრების, წარმატებული აქტივობებისა და საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის განსათავსებლად.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სკოლის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობებისა და მიღწევების შესახებ. ინფორმაციისა და სიახლეების სანდოობა დასტურდება ჩატარებული ღონისძიებებისა და პროექტებისა ამსახველი ფოტომასალით. სკოლის ვებ. გვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგეველი არის ერთ-ერთი მასწავლებელი, რომელიც პასუხისმგებლობას იღებს გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე. საჭიროების შემთხვევაში სკოლა მზადყოფნას გამოთქვამს დაადასტუროს სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაციის უტყუარობა. სკოლის სოციალური ქსელის გვერდსა თუ საინფორმაციო დაფებზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, რომელიც მუდმივად განახლებადია.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა ეფექტურად იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს სასკოლო საზოგადოებასა და ზოგადად დაინტერესებულ პირებთან უწყვეტი და სწრაფი კომუნიკაციისათვის. კომუნიკაციის პროცესში მიღებულ უკუკავშირს კი იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა ცდილობს მათი უკუკავშირის გათვალისწინებით, შესაძლებლობის ფარგლებში, შესთავაზოს მოსწავლეებს წრეები ან ჩამოაყალიბონ კლუბები. სკოლას აქვს მოსწავლეთა და მშობელთა სურვილის გათვალისწინებით მოსწავლეებისათვის დამატებითი საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების გამოცდილება.თუმცა, მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა არ სთავაზობს მოსწავლეებს რაიმე დამატებით მომსახურებას.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა კვლავ გამოთქვამს მზაობას, განიხილონ მშობელთა და მოსწავლეთა ნებისმიერი ინიციატივა და შესაძლებლობის ფარგლებში, გამოიყენონ მიღებული უკუკავშირი სკოლის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლა სწავლებას ახორციელებს სახელმწიფო ენაზე, შესაბამისად ყველა ინფორმაცია სკოლის ვებ გვერდზე - https://skolebi.emis.ge/ განთავსებულია სახელმწიფო ენაზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლაში ვიზიტის პერიოდისათვის სკოლას ვებ გვერდზე https://skolebi.emis.ge/ განთავსებული ჰქონდა სკოლის შესახებ შემდეგი ინფორმაცია, მათ შორის სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, საკონტაქტო ინფორმაცია, მოსწავლეთა რაოდენობა, სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, ინფორმაცია

ინფრასტრუქტურისა და ფინანსების შესახებ. ასევე, ინფორმაცია პროგრამებისა და აღნიშნულ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურების შესახებ და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესახებ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის პროფილი eschool-ის ბაზაში;
- Eflow, email.mes.gov.ge;
- https://skolebi.emis.ge/

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მყარ საფუძველს. სკოლის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსება.

სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე კანონის დადგენილ ვადებში. ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას სკოლა ითვალისწინებს სავარაუდო შემოსავლებს, მომდევნო წლის პრიორიტეტებს, სავარაუდო ხარჯებს, წინა წლის გამოცდილებას და საბიუჯეტო კალენდარს. ბიუჯეტის დაგეგმვისას სკოლა ითვალისწინებს კონკრეტული წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის განაწილების პრინციპს.
გარდა ამისა, სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ სკოლის ბიუჯეტის დაგეგმვისთვის საგნობრივი კათედრები მათ საჭიროებებს აცნობენ დირექციას. დირექტორი ბუღალტერთან ერთად იკვლევს საჭიროებებს, შეადგენს ბიუჯეტის პროექტს, რომელსაც განიხილავს და ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა მოხდეს ბიუჯეტის კორექტირება. თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის განვითარებასა და სწავლა-სწავლების პროცესს.

გარდა ამისა, სკოლის მომდევნო წლის შესყიდვების გეგმას ადგენენ წინა წლებისა და ბაზრის კვლევის გათვალისწინებით და ამტკიცებენ მიმდინარე წლის 20 ნოემბრამდე. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სკოლის დირექტორი წარსდგება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე წლის ფინანსური ანგარიშით, რაც დასტურდება სამეურვეო საბჭოს ოქმით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ფინანსურ რესურსებს გეგმავს და განკარგავს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. ბიუჯეტის დაგეგმვა ხორციელდება რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე. სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს დირექტორი, სკოლის სტრუქტურული ერთეულებისაგან მიღებული ინფორმაციის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე. სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს და საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებები შეაქვს სამეურვეო საბჭოს. ფინანსური რესურსების განკარგვის მონიტორინგის ერთგვარი საშუალებაა სკოლის დირექტორის მიერ წლიური ფინანსური ანგარიშის წარდგენა, რომლის საფუძველზეც მოწმდება ბიუჯეტის ხარჯვის კანონიერება. სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების (ბალანსის) წარდგენას შესაბამისი უწყებისთვის.
დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ბიუჯეტის გათვლისწინებით, სასკოლო სასწავლო გეგმითა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პროცესები მიმდინაროებს შეუფერხებლად.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- წლიური ფინანსური ანგარიში;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებით;
- სკოლის ბიუჯეტი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული აქვს არაერთი შიდა რეგულაცია (შინაგანაწესი, სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის, ჩარიცხვა-ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის წესები, გასაჩივრების მექანიზმები, სასკოლო სასწავლო გეგმა, ინკუზიური განათლების პოლიტიკის დოკუმენტი, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება და სხვა), რომლებიც ემსახურება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას. სკოლის მოსწავლეების უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული დებულებები გაწერილია მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს მოსწავლის წახალისების ფორმებს და გამოყენების წესს, მოსწავლის დისციპლინური გადაცდომისა და პასუხისმგებლობის სახეებს, დისციპლინური წარმოების წესს. მოსწავლეთა უფლებებსა და ძირითად გარანტიებს არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც

გაწერილია სემესტრული და ექსტერნის გამოცდის ჩატარების მექანიზმები, ინკლუზიური განათლების რეგულაციები, მათ შორის ისგ შემუშავებისა და შინ სწავლების პირობები. დამრიგებლის დებულებით განსაზღვრულია მოსწავლესა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მიეწოდოს ინფორმაცია გაცდენებისა და მოსალოდნელი ექსტერნის გამოცდების შესახებ. სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის უსაფრთხოების შესახებ. სკოლაში არის მანდატურის სამსახური, აკონტროლებს მოსწავლეთა გადაადგილებას სკოლის სივრცეში. მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში მათი უფლებები დაცულია და ფლობენ ინფორმაციას ძირითადი უფლებებისა და მოვალეობებთან დაკავშირებით, მშობლები კი აღნიშნავენ, რომ მათი შვილის სკოლაში ყოფნისას თავს მშვიდად გრძნობენ, რადგან სკოლაში შექმნილია უსაფრთხო სასწავლო გარემო.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სასკოლო რეგულაციები, რომლებიც ემსახურება მოსწავლეთა უფლებების რეალიზებას, გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის, კერძოდ, რეგულაციების ნაწილი განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე, ნაწილი ასევე სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირთათვის. აღნიშნული რეგულაციების განიხილვა ხდება მშობელთა კრებებზეც და პედაგოგიურ საბჭოზე. რეგულაციები არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ პრაქტიკულად არის გაზიარებული. მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში არსებული სამოქალაქო კლუბის მოსწავლეები შევიდნენ კლასებში და მოსწავლეებს გააცნეს მათი უფლებების შესახებ კონკრეტულ ამონარიდები შიდა სასკოლო რეგულაციური დოკუმენტებიდან. აღნიშნული საკითხების გაცნობა ხდება სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში. ასევე, იციან საჭიროების შემთხვევაში ვის უნდა მიმართონ და მოიძინონ ინფორმაცია თავიანთი უფლებების შესახებ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლას მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, სკოლის საქმიანობის, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების, მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა გამოყენების წესის, სასწავლო, დასვენების, უქმე დღეების, ხელშეკრულების მოქმედების ვადის, შეწყვეტის წესის, შინაგანაწესის გაცნობისა და სხვა დამატებითი პირობების შესახებ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შინაგანაწესი
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი
- მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
- ინკლუზიური განათლების პოლიტიკის დოკუმენტი
- მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- მშობელთა კრების ოქმები;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- სკოლის საინფორმაციო დაფა.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით, სკოლა ხელმძღვანელობს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის" შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეწყვეტის წესი. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრებას ელ. ჟურნალში აღრიცხავს კლასის დამრიგებელი. სკოლაში არსებობს პასუხისმგებელი პირი, საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობაა აწარმოოს მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა სკოლის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით საქმისმწარმოებელმა დაგვათვალიერებინა მობილობის, სტატუსის

შეწყვეტისა და კლასიდან კლასში გადაყვანის მაგალითები. მოსწავლეთა ჩარიცხვის, მობილობის, საფეხურის დაძლევისა და სტატუსის შეჩერების წესი გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

დოკუმენტაციისა და პრაქტიკის შესწავლით, ინტერვიუებით დადასტურდა, რომ ყველა სტატუსის ცვლილება, მობილობა და ამორიცხვა ხდება დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა აღნიშნულ პროცესებს სრულად აწარმოებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ვიზიტისას შესწავლილ იქნა მოსწავლეთა პირადი საქმეები, ასევე ადგილზე დათვალიერდა მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პროფილი, გავეცანით მოსწავლეთა (შერჩევითი პრინციპით) ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს, სკოლის მიერ გამოცემული შესაბამის ბრძანებებს, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ სკოლა იცავს და კანონმდებლობით დადგენილი პროცედურებით ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სასწავლო წლის დასაწყისშივე ხდება მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ; დამრიგებელი ვალდებულია შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს ინფორმაცია მისი შვილის აკადემიური მოსწრების, ქცევისა და გაცდენების შესახებ. გასაუბრებისას მშობლებმა აღნიშნეს, რომ პარასკევი არის მშობლების დღე, რომლის ფარგლებშიც მათ შეუძლიათ თითოეული საგნის მასწავლებელთან გასაუბრება. ვებ. გვერდისა და ფეისბუქ გვერდის საშუალებით, ხელმისაწვდომია ყველა სიახლე და სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნომრები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

აქედან გამომდინარე დასტურდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები და პროგრამები, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრების, სკოლის სოციალური ქსელისა და ვებ-გვერდის დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის უტყუარი, სანდრო, განახლებული, არადისკრიმინაციული და კანონმდებლობის შესაბამისი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესი;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების და აღდგენის ბრძანებები;
- ვებ-გვერდის შესაბამისი გვერდი/სოციალური ქსელი;
- შინაგანაწესი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, რომლის მიზანია მოსწავლეს დაეხმაროს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას, დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში. ეს მექანიზმი ვრცელდება პირველკლასელებზე, მობილობით გადმოსულ მოსწავლეებსა და იმ მოსწავლეებზე, რომლებსაც ენობრივი ბარიერი ან სხვა მიზეზით გამოწვეული ადაპტაციის პრობლემები აქვთ. დოკუმენტი განსაზღვრავს დეზადაპტაციის ნიშნებს და მათზე რეაგირების პროცედურებსაც.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშეწყობა იწყება სწავლის დაწყებამდე და მოიცავს როგორც აკადემიურ, ისე სოციალურ ასპექტებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი ადაპტაციის წესის მიხედვით დამრიგებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებს სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაში და წაახალისოს მოსწავლეები, დაამყარონ კომუნიკაცია ახალ გადმოსულ მოსწავლესთან. ადაპტაციის მექანიზმი მოიცავს აქტივობებს, რომლებიც მიმართულია მოსწავლეების ურთიერთგაცნობასა და დაახლოებაზე. სწავლის პირველ დღეს ეწყობა საზეიმო ღონისძება სკოლის ეზოში სახალისო აქტივობებით, ხოლო დამრიგებლის მიერ პირველივე სადამრიგებლო საათი ეთმობა თანაკლასელების გაცნობა-დაახლოებას. მშობლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის მიერ შემუშავებული ზემოთ აღწერილი მექანიზმი პრაქტიკაშიც წარმატებით ხორციელდება. პირველკლასელი მოსწავლის მშობელმა აღნიშნა, რომ მომავალ დამრიგებელთან ჰქონდათ ინდივიდუალური შეხვედრა სწავლის დაწყებამდე და ამ შეხვედრის პროცესში მოსწავლე და მშობელი გაეცნო სასკოლო გარემოს. გასაუბრებაზე იყო რამოდენიმე ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსწავლის მშობელი, რომელთა შვილებიც მეზობელი სოფლის სკოლიდან გადმოვიდნენ .მათ აღნიშნეს , რომ მათმა შვილებმა ,მიუხედავად იმისა ,რომ რთულ, გარადტეხის ასაკში ,შეიცვალეს გარემო, მარტივად ადაპტირდნენ სასკოლო გარემოსთან, რადგან დამრიგებლებმაც და საგნის მასწავლებლებმაც ამის ყველა პირობა შექმნეს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის კონსულტაციებს საჭიროების შემთხვევაში .სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია ექსტერნატის ფორმატით გამოცდების ჩაბარება , სემესტრული ნიშნის ამაღლების გამოცდა , რომლის პრაქტიკაც აქვს სკოლას. დირექტორთან გასაუბრებისას ჩვენთვის ცნობილი გახდა ,რომ იყო ეპიზოდი, როცა საბაზო საფეხურის მოსწავლის მშობელმა მიმართა სკოლას სემესტრული გამოცდის დანიშვნის თხოვნით, რაზეც სკოლის ადმინისტრაციამ მიიღო შესაბამისი ზომები გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარებაზე.შედეგად მოსწავლის შეფასება ამაღლდა .

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. მოსწავლეებს ეძლევათ დროული მხარდაჭერა ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით მაგ., ექსტერნატი, სატატუსის აღდგენა ან შეწყვეტა, მობილობა, შინსწავლება. ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სკოლა რეაგირებს წერილობით განცხადებებზე და ახორციელებს დროულ კომუნიკაციას, მათ შორის დოკუმენტების გაგზავნას მიმღებ სკოლებში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის ერთ-ერთი სტარტეგიული მიზანია მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, შესაბამისად, მნიშვნელოვანია სკოლამ კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისება და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა. სკოლის ცხოვრების ნაწილია სხვადასხვა ხასიათის საკლასო და სასკოლო ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება, რაც ინიცირებულია როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეების მიერ. მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს. კერძოდ: მათი თხოვნით ჩატარდა სკოლაში ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის? ,,,ტვინების ბრძოლა '' რომელიც განხორციელდა სკოლის

კვალიფიციური პედაგოგების ჩართულობით.ბავშვებმა აღნიშნეს ,რომ აქტიურად თანამშრომლობენ კასპში ადგილობრივი თემის წევრებისთვის შექმნილ ორგანიზაცია ,,კომლთან '' და მონაწილეობას იღებენ სათემო სივრცეში გამართულ აქტივობებში . ასევე აღნიშნეს, რომ სკოლის ფარგლებში ხშირად ტარდება სპორტული აქტობობები, თუმცა მათ მიმართეს ინიციატივით სკოლის ადმინისტრაციასა და სპორტის მასწავლებელს უფრო მასშტაბური ტურნირის ჩატარებაზე ფეხბურთში , რაზეც მიიღეს თანხმობა და დაწყებულია მუშაობა .

რჩევა: მნიშვნელოვანია სკოლას მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი ჰქონდეს, თუ როგორ, რა მექანიზმებით უზრუნველყოფს სკოლა დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებას და მოსწავლეთა იტერესების მხარდაჭერას. მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა იცოდნენ, თუ როგორ, როდის და ვის უნდა მიმართონ საკუთარი ინიციატივების მხარდასაჭერად.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

ინტერვიუს პროცესში სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლას აქვს მუდმივი კომუნიკაცია მშობლებთან და მოსწავლეებთან მიწოდებული მომსახურებების განხორციელებისა და შემდგომი განვითარებისთვის.

ძირითადი უკუკავშირი ზეპირი სახითაა მიღებული, რისი გათვალსწინებაც გარკვეულწილად ხდება. თუმცა, სისტემური ხასიათი სასკოლო საზოგადოების უკუკავშირს არ აქვს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლა მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან/კანონიერი წარმომადგენლებისაგან და სკოლის პერსონალისგან იღებდეს უკუკავშირს მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ.

რჩევა: სასურველია, სკოლამ მარეგულირებელ დოკუმენტში გაწეროს, თუ როგორ, რა პერიოდულობით და რა მექანიზმებით იღებს უკუკავშირს მოსწავლეებისგან, მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლებისგან, მასწავლებლებისგან და როგორ ხდება ამ უკუკავშირის საფუძველზე მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი;
- შინაგანაწესი
- წარმოდგენილი პროექტების აღწერები/ფოტომასალა
- თვითმმართველობის ოქმები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესი;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სკოლაში განხორციელდა სხვადასხვა სახის აქტივობები.კერძოდ, სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი კასპის პროფესიულ კოლეჯთან.საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, კასპის კოლეჯისა და პროფესიული უნარების სააგენტოს მხარდაჭერით, სოფელ ოკამის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ორგანიზებულ გასვლით ღონისძიებაშიც. ასევე სკოლა თანამშრომლობს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიასთან. მშობლებმა აღნიშნეს,რომ მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მათი შვილების პროფესიულ თვითგამორკვევასა და მომავალი კარიერული ნაბიჯების დაგეგმვას, დაასახელეს ამის რამდენიმე კონკრეტული ფაქტიც.

რჩევა : მარეგულირებელ დოკუმენტში უფრო დეტალურად გაწეროს ის აქტივობები და მექანიზმები, რომლებითაც უზრუნველყოფს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურებას. სასურველია, დაიგეგმოს უფრო მრავალფეროვანი აქტივობები ამ მიმართულებით (მაგ: თემში ცნობილ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან შეხვედრა და ა.შ.)

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ სკოლის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზეც და დოკუმენტბრუნვის სისტემაში სკოლას შემოსდის ინფორმაცია, სიახლეები საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის ღია კარის დღეების ჩატარების შესახებ, სადაც სთავაზობენ რამდენიმე დღიან კონკრეტულ პროგრამებზე ლექციებზე დასწრებას. მიღებულ ინფორმაციას დირექცია აწვდის შესაბამისი კლასის დამრიგებელს, რომლებიც, თავის მხრივ, აცნობენ სადამრიგებლო კლასების მოსწავლეებსა და მშობლებს, ძირითადად სოციალური ქსელების დახმარებით.

სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობები ადასტურებს, რომ სკოლა აწვდის მოსწავლეებს/მშობლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას კარიერული განვითარების საკითხებზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა იაზრებს წინა გამოცდილებასა და სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის მნიშვნელობას ,თუმცა ამ ეტაპზე გაწეული მომსახურების შეფასების შედეგების გაანალიზებას და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას ახდენს ზეპირი უკუკავშირის საფუძველზე. ეს დადასტურდა ადმინისტარციასთან და მშობლებთან ინტერვიუს დროსაც.

რჩევა: სასურველია სკოლამ ჩაატაროს გამოკითხვა კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში მოსწავლეთა მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით ,რომლის შედეგების ანალიზიც უზრუნველყოფს უფრო ხარისხიანი პროფესიული ორიენტაციის მომსახურების განხორციელებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კასპის პროფესიულ კოლეჯთან.
- სასწავლებლებში ვიზიტის დამადასტურებელი ფოტო მასალა
- მოწსავლეებთან და მშობლებთან ინტერვიუები
- სკოლის ვებ-გვერდი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების

რეგულაცია, სადაც გაწერილია სსსმ სტატუსის მოპოვება/ მოხსნის დეტალები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და შესრულების რეგულაცია/მონიტორინგი, ასევე, კონფიდენციალური და ეთიკური პრინციპების დაცვის ვალდებულებები მხარეებთან ურთიერთობის დროს. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი მექანიზმები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები და პრინციპები; სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების, გაცდენების აღრიცხვისა და დასწრების წესი. სსსმ მოსწავლეების შინ სწავლებისა და მათი წახალისების მექანიზმები. ნიმუშის სახით წარმოდგენილია ისგ-ს ფორმა. შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ამზადებს შიდა მონიტორინგის დასკვნას და გასცემს რეკომენდაციებს. გარდა იმისა, რომ სკოლას აქვს შემუშავებული მექანიზმები, სპეც. მასწავლებელთან, მეტყველების პედაგოგსა და ფსიქოლოგთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მექანიზმი პრაქტიკაშიც ხორციელდება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას და ჩართულობის დონის ზრდას. სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლაში გამოყოფილია რესურს ოთახი. სკოლას შემუშავებული აქვს ტრანზიციის გეგმა, სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები და სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ჯგუფი გეგმავს სხვადასხვა აქტივობებს ისინი თანამშრომლობენ და მუდმივ კომუნიკაციაში არიან ერთმანეთთან. სასწავლო წლის დასაწყისში, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი გუნდი აწყობს შეხვედრას მასწავლებლებთან, სადაც განიხილავს წლის დასაწყისში განსახორციელებელ სამუშაო გეგმას, ამის შემდეგ ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სადაც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული თითოეული მოსწავლის საჭიროება და შესაძლებლობები. ისგ ჯგუფი შეხვედრებზე განიხილავს მოსწავლის საჭროებებს და ერთობლივად გეგმავს საქმიანობას. სსსმ მოსწავლეთა განვითარებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი: საგნის მასწავლებელი, დამრიგებელი, მშობელი, სპეც. მასწავლებელი, მეტყველების თერაპევტი, მოსწავლის ასისტენტი, ფსიქოლოგი. გასაუბრებისას გამოიკვეთა ,რომ ერთ-ერთ სსსმ მოსწავლეს აქვს ისეთი პროგრესი ,რომ დაწყებულია პროცესი სტატუსის მოხსნაზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ადაპტაციის წესი
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- ინდ. გეგმები;
- ისგ ჯგუფის შეხვედრის ოქმები.
- სსსმ მოსწავლის დასკვნა
- სსსმ მოსწავლის ინდგეგმა
- ინდ.გეგმის შემუშავების სამუშაო ჯგუფის ოქმი
- შიდა მონიტორიგის დასკვნა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლას ორი მიმართულებით ემსახურება ტრანსპორტი. აღნიშნული მომსახურება ხორციელდება სამინისტროს მიერ

შეთავაზებული პროგრამის ფარგლებში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

2025-2026 სასწავლო წელს სკოლაში ფუნქციონირებს მხოლოდ სამოქალაქო განათლების კლუბი. რომელიც აქტიურად თანამშრომლობს კასპში ადგილობრივი თემის წევრებისთვის შექმნილ ორგანიზაცია ,,კომლთან '' და მონაწილეობას იღებენ სათემო სივრცეში გამართულ აქტივობებში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

მოსწავლეთეთვის ტრანსპორტით მომსახურების სერვისი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეგიდით განხორციელებული

პროექტის ნაწილია და ნებართვა დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამის საჯარო სკოლის ტრანსპორტის ტაბელი.
- კლუბის დებულება

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

თარიღი: 18.02.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: